ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

სამშაბათი, 12 მაისი, 2015

1108 (6728)

აფცბ5 №) სტსჰბ

## ახალი სკანდალი დავით ნარმანიას გარშემო

„თბილისის მერიაში მაღალი პრემიების გაცემა გრძელდება“



გვ.3

# სტოლტენბერგი: საქართველო ნატოს უახლოვდება“

გვ.2

მარგველაშვილი ბრიუსელში ნატოს გენერალურ მდივანს შეხვდა



## თინა ხიდაშელი: ძლიერი ჯარი მშვიდობისთვის გვჭირდება“

გვ.2





ვაზიანის აეროდრომზე ქართულ-ამერიკული სამხედრო სწავლება დაიწყო

## მანანა კობახიძე: ერთი-ორი მინისტრი შეიცვლება“



გვ.7

## ემზარ კვიციანი: გიგი უგულავა და ვანო მერაბიშვილი თავისუფლებით უნდა დაისაჯონ“



გვ.3

## ჯონდი ბაღათურია: თინა ხიდაშელის დანიშვნა თავდაცვის მინისტრად სამარცხვინო საქციელი იყო“



გვ.4



გვ.6

## რა ქონებას ფლობს გარემოს დაცვის ახალი მინისტრი გიგლა აგულაშვილი

ISSN 1987-9385

## GIZ-ის და კომპანია საქართველოს ნერგების“ ერთობლივი პროექტი დედოფლისწყაროში

კომპანია „საქართველოს ნერგები“ პირველად 2011 წელს გამოჩნდა საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე. ის ერთ-ერთი დიდი და წამყვანი მეურნეობაა.

კომპანიას აქვს ორი სანერგე მეურნეობა ყვარელსა და სუფსაში, სადაც ხდება ქართული და უცხოური ჯიშების გამოყვანა, ძველი და უნიკალური ჯიშების აღდგენა. ამასთანავე, 2012 წლიდან კომპანია აქტიურად თანამშრომლობს ევროპის ქვეყნების სანერგე მეურნეობებთან. გვ.6



# სტოლტენბერგი: საქართველო ნატოს უახლოვდება“

## მარგველაშვილი ბრიუსელში ნატოს გენერალურ მდივანს შეხვდა

გუშინ, 11 მაისს, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბრიუსელში, ნატოს შტაბბინაში, ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგს შეხვდა.



შეხვედრისას მხარეებმა საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივები, რეგიონში არსებული უსაფრთხოების გამოწვევები და ერთობლივი საერთაშორისო მისიები განიხილეს.

გიორგი მარგველაშვილმა აქცენტი გააკეთა იმ პროგრესზე, რომელიც საქართველომ ალიანსთან ინტეგრაციის გზაზე განიცადა.

საუბრის თემა ასევე იყო ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც საქართველო დგას. გიორგი მარგველაშვილმა ხაზი გაუსვა რუსეთის დესტრუქციულ ქმედებებს, საოკუპაციო ზოლში მავთულხლართების ინსტალაციის გაგრძელებას და ე.წ. ხელშეკრულებების გაფორმებას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან.

ქვეყნის პირველმა პირმა მადლობა გადაუხადა იენს სტოლტენბერგს იმ მხარდაჭერისთვის, რასაც ნატო იჩენს საქართველოს ინტეგრაციის გზაზე და ასევე იმ განცხადებებისთვის, რომლებიც ნატოს გენერალურმა მდივანმა ე.წ. ხელშეკრულებების გაფორმების შეფასებისას გააკეთა.

შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობაზე საერთაშორისო მისიებში და მათ წვლილზე საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

— საქართველო ნატოს უახლოვდება, ჩვენ ველით, რომ საქართველო გააგრძელებს ამ მიმართულებით სვლას, — ეს კომენტარი ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა ნატო-ს შტაბბინაში, საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

მისი თქმით, ნატო საქართველოს დაეხმარება, რათა მისი თავდაცვა იყოს უფრო მოდერნიზებული.

— გასულ წელს ჩვენ სამიტზე ინიციატივაში მონაწილეობა შემოგთავაზეთ იმისთვის, რომ გაგეძლიერებინათ შესაძლებლობები პარტნიორებთან ერთად. ჩვენ ასევე ავამოქმედეთ არსებითი პაკეტი იმისთვის, რომ საქართველომ გააძლიეროს თავდაცვითი შესაძლებლობები. ეს ინიციატივები ხორციელდება. ნატოს სამხედროები დაგეხმარებიან თავდაცვის რეფორმების კუთხით. ასევე, წელს ჩვენ ნატო — საქართველოს ერთობლივ საწვრთნელ ბაზას შევქმნით საქართველოში, — განაცხადა სტოლტენბერგმა.

მისივე თქმით, საქართველო ნატო-ს ძლიერი პარტნიორი და მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია ერთობლივი უსაფრთხოების კუთხით.

— თქვენ ჩვენს ოპერაციებში მნიშვნელოვან როლს ასრულებთ. დღეს საქართველო ავღანეთში ჩვენი მისიის ფარგლებში სიდიდით მეორე კონტრიბუტორია. საქართველოს სამხედროები ნატოს გვერდით წლების განმავლობაში იბრძვიან. ჩვენ ამისთვის მადლობელი ვართ, — აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

იენს სტოლტენბერგმა ასევე განაცხადა, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს თავდაცვის სფეროში.

— ჩვენ მივესალმებით იმ ამბიციურ გეგმებს, რომლებიც ამ წლისთვის გამოაცხადეთ. ჩვენ მხარს გიჭერთ დემოკრატიული რეფორმების გაღრმავებაში, რომლებიც დამოუკიდებელი სასამართლოს გაძლიერებას და კანონის უზენაესობას ეხება, — აღნიშნა იენს სტოლტენბერგმა.

პრესკონფერენციაზე განცხადებები გიორგი მარგველაშვილმაც გააკეთა.

— საქართველო გააგრძელებს სვლას იმ გზაზე, რასაც ჰქვია ქვეყანაში ღირებულებებისა და ფასეულობების გამყარება, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ქვეყნის პირველმა პირმა შეხვედრის დროს განხილულ საკითხებზე ისაუბრა და განმარტა, რომ საუბარი საქართველოსა და რეგიონში სხვადასხვა კუთხით მიმდინარე პროცესებს შეეხო.

— ჩვენ შევეხეთ რამდენიმე პრობლემურ საკითხს, მათ შორის იმას, რომ რუსეთმა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან გააფორმა ე.წ. ხელშეკრულებები. ისინი საქართველოს სუვერენიტეტს დარტყმას აყენებს. გარდა ამისა, ვისაუბრეთ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა არსებითი პაკეტი და წვრთნისა და შეფასების ცენტრის განვითარება. მე კიდევ ერთხელ დავადასტურე ჩვენი სრული მხარდაჭერა არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის თვალსაზრისით და ხაზი გავუსვი ჩვენს ვალდებულებას, რომ აღნიშნულ პაკეტში მოცემული საკითხები შესრულდება დროულად და ეფექტურად, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

მისი თქმით, მხარეებმა განიხილეს საქართველოს მონაწილეობა სამშვიდობო მისიებშიც. ასევე ისაუბრეს საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და ქართველი ხალხის არჩევანზე, რომ საქართველო გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სრულფასოვანი წევრი და გაიზიაროს ის ღირებულებები, რომლებზეც ნატოს გენერალურმა მდივანმა ისაუბრა.

— საქართველო გააგრძელებს მოძრაობას იმ გზაზე, რასაც ჰქვია ქვეყანაში ღირებულებებისა და ფასეულობების გამყარება, იმ ღირებულებების, რომლებზეც დგას ალიანსი. რა თქმა უნდა, საუბრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იყო სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებაც, — დასძინა გიორგი მარგველაშვილმა.

ნატოს გენერალური მდივანი საქართველოს ნატოში შესვლის ტექნიკურ დეტალებსაც შეეხო.

— საქართველო გახდება თუ არა ნატოს წევრი, ეს მხოლოდ საქართველოსა და 28 მოკავშირე ქვეყნის გადასაწყვეტია, — განაცხადა მან.

ამ სიტყვებით სტოლტენბერგმა ხაზი გაუსვა იმას, რომ არც ერთი სხვა ქვეყნის საქმე არ არის, ვეტო გამოიყენოს ან სხვა რამენაირად ჩაერიოს ამ პროცესში.

— ჩემი გზავნილი გახლავთ ის, რომ საქართველო წარმოადგენს ნატოს მყარ და მტკიცე პარტნიორს და ჩვენ მივესალმებით იმ თანამშრომლობას, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია ვახორციელებთ. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესს და ხაზს ვუსვამთ ნებისმიერი ქვეყნის ფუნდამენტურ ღირებულებებს, თვითონ გადაწყვიტოს და თვითონ აირჩიოს, რომელ გზას დაადგება. აქ იგულისხმება უსაფრთხოების მექანიზმებიც ანუ სამხედრო ალიანსის წევრობა, რომელსაც ესა თუ ის ქვეყანა მოისურვებს, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

მისივე შეფასებით, საქართველო ალიანსში ინტეგრაციის გზაზე პროგრესს აღწევს.

— ვაგრძელებთ მუშაობას ამ მიმართულებით არსებითი პაკეტის ჩარჩოებში. საქართველო პროგრესს აღწევს. ჩვენ კვლავ ერთგულები ვართ იმ პროცესის და საკითხების, რომლებიც უელსში განვიხილეთ, — აღნიშნა იენს სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ნატო — საქართველოს ერთობლივ წვრთნებზეც ისაუბრა.

მისი თქმით, ალიანსსა და საქართველოს შორის პარტნიორობა წვრთნებსაც გულისხმობს, როგორც ნატოს წვრთნებს, ასევე ორმხრივ წვრთნებს ნატოს წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის.

— ეს წვრთნა ძალიან მნიშვნელოვანია. ის ჩვენი ძალების ურთიერთთავსებადობას და ჩვენი ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობებს ზრდის. ჩვენ შევძელით ურთიერთთავსებადობა ავღანეთში ერთობლივი მცდელობით. ჩვენ ახლა ავღანეთში ჩვენს სამხედრო წარმომადგენლობას ვამცირებთ. იქ წვრთნები უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. არსებითი პაკეტის ნაწილია წვრთნები. საწვრთნელი ცენტრის ჩამოყალიბება კიდევ ერთი ელემენტია. ასევე, ჩვენ მოვამზადეთ ექსპერტთა გუნდი, რომელიც არსებითი პაკეტის შესრულებაზე და ნატო — საქართველოს თანამშრომლობაზე მუშაობს, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

# თინა ხიდაშელი: ძლიერი ჯარი მშვიდობისთვის გვჭირდება“

## ვაზიანის აეროდრომზე ქართულ-ამერიკული სამხედრო სწავლება დაიწყო

— ჩვენ არავისთან ომს არ ვგეგმავთ, ჩვენ ვემზადებით მშვიდობისთვის და ზუსტად ამისთვის გვჭირდება სიძლიერე ქართულ ჯარში, განაცხადა თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ქართულ-ამერიკული ერთობლივი სწავლების — „ღირსეული პარტნიორის“ გახსნის შემდეგ.

როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, ვინაიდან პირველი შემთხვევაა, როდესაც ასეთი მასშტაბური წვრთნები ტარდება საქართველოში და ქართველ ჯარისკაცებს შესაძლებობა აქვთ, ამერიკელ ჯარისკაცებთან ერთად, ამერიკული ტექნიკის გამოყენებით, მიიღონ სწავლებაში მონაწილეობა.

— ვფიქრობ, ეს სწავლება რამდენიმე მიზეზით არის პრინციპულად მნიშვნელოვანი ჩვენთვის. პირველ რიგში, ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ ჩვენ გვყავს არა მხოლოდ უბრალოდ პარტნიორი ამერიკის შეერთებული შტატების სახით, არამედ ძალიან დიდი გულშემატკივარი და მეგობარი, რომელიც მზად არის, ნებისმიერი ფორმით დაეხმაროს ქართულ სახელმწიფოს გაძლიერებაში. მეორე — ეს არის აბსოლუტურად შეუცვლელი საშუალება ჩვენი ჯარისკაცებისთვის, რომ ამერიკელებთან ერთად, ამერიკული ტექნიკის გამოყენებით, მიიღონ მონაწილეობა ამ წვრთნებში და მესამე — არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გრძელვადიანი გეგმა, რომელიც „ღირსეული პარტნიორის“ ფარგლებში იქმნება ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში, — აღნიშნა თინა ხიდაშელმა.

მისივე თქმით, გარდა ამ წვრთნებისა, წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე მასშტაბური ღონისძიება იგეგმება, მათ შორის ნატო — საქართველოს წვრთნები, რომელშიც რამდენიმე ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

— ასე რომ, ჩვენ ამ გზაზე ვდგავართ, ჩვენი ჯარის აღმშენებლობით სამხედრო შესაძლებლობის განვითარების გზაზე. ჩვენ არავისთან ომს არ ვგეგმავთ, ჩვენ ვემზადებით მშვიდობისთვის და ზუსტად ამისთვის გვჭირდება სიძლიერე ქართულ ჯარში, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

რაც შეეხება იმას, გამოიწვევს თუ არა ეს წვრთნები რუსეთის გაღიზიანებას, თინა ხიდაშელის თქმით, რუსეთი გაღიზიანებულია, რომ საქართველო საერთოდ არსებობს, ამიტომ ეს ფურცელი უნდა დავხუროთ.

— მე და თქვენ ახლა რა ენაზეც ვმეტყველებთ, ეს უკვე საკმარისი საფუძველია რუსეთის გაღიზიანებისთვის. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი დღეა და არ არის საჭირო მისი გაფუჭება სხვა თემებზე ფიქრით, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ქართულ-ამერიკული ერთობლივი სწავლება „ღირსეული პარტნიორი“ ვაზიანის აეროდრომზე გუშინ, 11 მაისს გაიხსნა და 25 მაისამდე გაგრძელდება.







# ქართველი მეზღვაურები დაბომბვას გადაურჩნენ

ლიბიის სანაპიროებთან თურქულ სატვირთო გემზე საჰაერო იერიში მიიტანეს.

შემთხვევა ლიბიის ქალაქ თობრუკის პორტთან ახლოს მოხდა. თურქულ გემზე საჰაერო იერიში მას შემდეგ მიიტანეს, რაც ლაინერმა ტერიტორიის დატოვება სცადა. თავდასხმის შედეგად დაიღუპა გემის ეკიპაჟის ერთი წევრი, რამდენიმე კი დაშავდა.



როგორც თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, გემი საერთაშორისო წყლებში დაცურავდა. უცნობია, თუ ვინ მიიტანა თურქულ სატვირთო გემზე იერიში.

გემზე ქართველი მეზღვაურების იმყოფებიან. ისინი არ დაშავებულან.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია:

— კუკის კუნძულების დროშის ქვეშ მცურავ მშრალტვირთმზიდ „ტუნა 1“-ზე იმყოფება 6 ქართველი მეზღვაური. ლიბიის ტერიტორიულ წყლებში დაბომბვის შედეგად გარდაიცვალა ეკიპაჟის 1 წევრი, თურქეთის მოქალაქე, კაპიტნის მესამე თანაშემწე. ქართველები მეზღვაურები არ დაშავებულან. სააგენტო მუდმივ კავშირზეა მათთან და მათივე ცნობით, გემი არ არის გამართულ მდგომარეობაში, თუმცა შეძლებენ ნავსადგურამდე მისვლას უპრობლემოდ.

განცხადების თანახმად, სააგენტომ საქმის კურსში ჩააყენა საბერძნეთში, ეგვიპტესა და თურქეთში საქართველოს საელჩოები, საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრები და სანაპირო დაცვის სამსახურები.

— ამჟამად გემის პოზიცია არის ყველაზე ახლოს საბერძნეთის კუნძულ კრეტასთან. საბერძნეთის სანაპირო დაცვა საქმის კურსშია და განვითარებული მოვლენების შესახებ გაცნობებთ, — ნათქვამია განცხადებაში.

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ემზარ კვიციანი: გიგი უგულავა და ვანო მერაბიშვილი თავისუფლებით უნდა დაისაჯონ“

## მაჟორიტარულმა სისტემამ სვანები ერთმანეთს გადაკიდა

შორენა მარსაგიშვილი

რატომ უნდა გამოვიდნენ ციხიდან ნაციონალები, ვინ ბლოკავს ლევან მამალაძის საქართველოში ჩამოსვლას, რა უბედურება მოაქვს მაჟორიტარულ არჩევნებს, ვინ გვიშლის ოსებთან და აფხაზებთან დიალოგს, რისთვის ემზადება საქართველოს პატრიოტთა ალიანსი? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ემზარ კვიციანი ესაუბრება.

**ემზარ კვიციანი:**

— საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა გადავწყვიტეთ, მთელი საქართველო შემოვიაროთ. ამ დიდ ტურნეს სვანეთიდან დავიწყებთ. 21 მაისს, ამაღლება დღეს, დაგვლოცავს მეუფე ილარიონი და ასე დალოცვილები შემოვივლით მთელ საქართველოს, თან ისე კი არ შემოვივლით, კარდაკარ დავივლით მთელ ქვეყანას.

***— ეს ტურნე მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება?***

— არა მარტო არჩევნებს. ჩვენ ვეძებთ პატრიოტებს, რათა შევიკრიბოთ და ქვეყანა გადავარჩინოთ.

***— რატომ გგონიათ, რომ ქვეყანას გადასარჩენად აქვს საქმე?***

— კი არ მგონია, ასეა! ქვეყანას ჯერ თავისუფლებისთვისაც კი არ მიუღწევია. როგორ შეიძლება თავისუფალი ეწოდოს ქვეყანას, რომლის ხელისუფლებაც რომელიმე ქვეყნის ელჩების მიერ იმართება. ახლა არ მითხრათ, როდის ერევიან ელჩები ჩვენს შინაურ საქმეებშიო. როდესაც ხელისუფლება უბრალო ელჩებთან მიდის კომპრომისებზე და მათი მითითებით მოქმედებს, იქ ქვეყნის თავისუფლებაზე საუბარი ზედმეტია.

***— ჩვენი ხელისუფლება ანგარიშს მარტო ერთი ქვეყნის ელჩს უწევს. რიჩარდ ნორლანდი ყოველთვის იქ არის, სადაც ვითარება მწვავდება.***

— ამერიკის ელჩი აშკარად დადის, ჩვენს საშინაო საქმეებში სხვა უცხოელი დიპლომატებიც ერევიან. ეს უნდა დასრულდეს, სხვანაირად საქართველო ვერ გადარჩება.

***— ქვეყნის სათავეში პატრიოტთა ალიანსის მოსვლის შემთხვევაში, უცხოელი დიპლომატების რჩევები გათვალისწინებული არ იქნება?***

— კეთილი რჩევა ყველასგან უნდა მივიღოთ. აქ საუბარია მათი პოზიციის გათვალისწინებაზე. მათ პოზიციებს მხოლოდ იმ შემთხვევაში გავითვალისწინებთ, თუ ის საქართველოსთვის მომგებიანი იქნება.

***— რუსეთის პოზიციებს თუ გაითვალისწინებთ? პატრიოტთა ალიანსი რატომღაც პრორუსულ ძალად აღიქმება.***

— პრორუსულობას გვაბრალებენ ნაციონალები, რომლებიც თავად ატარებდნენ და დღემდე ატარებენ რუსულ ინტერესებს. როცა სხვა ქვეყნის ინტერესებზე ვსაუბრობ იქ, ბუნებრივია, რუსეთსაც ვგულისხმობ. ჩემთვის საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევა ყველას მხრიდან მიუღებელია. მნიშვნელობა არა აქვს, ეს რუსეთი იქნება, ამერიკა თუ თურქეთი. მათ თავისი ინტერესები აქვთ და ეს ინტერესები თავზე არ უნდა მოგვახვიონ. საუკეთესო გამოსავალი ქვეყნის ნეიტრალიტეტია.

***— საქართველოს ნეიტრალიტეტი პატრიოტთა ალიანსის პოზიციაა თუ პირადად თქვენი?***

— ეს ჩემი, ემზარ კვიციანის სუბიექტური პოზიციაა. ამ აზრზე ვიდექი 25 წლის წინ და ამ აზრზე ვიდგები 25 წლის შემდეგაც. თუ ნორმალური ქვეყანა გვინდა, მაშინ ამ ქვეყნებს ერთმანეთი უნდა დავაბალანსებინოთ. რუსეთმა ამერიკა უნდა დააბალანსოს და ამერიკამ რუსეთი. ასეთ შემთხვევაში აქ ცხვირს ზედმეტად ვერავინ ჩაყოფს. ამ საკითხზე აუცილებლად დაველაპარაკები ჩვენს ამომრჩეველს. დარწმუნებული ვარ, ისინიც ასე ფიქრობენ.

***— არჩევნებში მონაწილეობას აპირებთ?***

— რა თქმა უნდა.

***— მაჟორიტარად იყრით კენჭს?***

— სიაში ვიქნები. მაჟორიტარობაზე არც კი მიფიქრია. საერთოდ, არ მომწონს ეს სისტემა და თუ გაუქმდება, მოხარული ვიქნები.

***— რატომ არ მოგწონთ მაჟორიტარული სისტემა?***

— რანაირად უნდა მომეწონოს, როცა ამის გულისთვის სვანები ერთმანეთს გადაეკიდნენ. როცა მაჟორიტარული არჩევნები ტარდება, კანდიდატები და მათი ნათესავები ერთმანეთს უპირისპირდებიან.

***— ასე ხდება მთელს საქართველოში.***

— ჩვენ, სვანებმა, სხვანაირი დაპირისპირება ვიცით. აირჩევენ ამ მაჟორიტარს, მერე მიდის შერიგება და ის ისაა, უნდა შერიგდნენ, რომ ახალი არჩევნები უწევს და თავიდან იწყება დაპირისპირება. ამ მანდატების გამო სვანები ერთმანეთს აღარ ელაპარაკებიან. ამიტომაც ვითხოვ ამ სისტემის გაუქმებას, ეგება, ეს ხალხი როგორმე შევარიგო ერთმანეთს.

***— პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ განაცხადეთ, რომ ნაციონალების წინააღმდეგ სარჩელს შეიტანდით. რა ხდება ამ მიმართულებით?***

— ერთი სარჩელი უკვე 2 თვეა, რაც შეტანილი გვაქვს. ახლა მეორე სარჩელს ვამზადებთ, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში უნდა შევიტანოთ. ვნახოთ, რა იქნება. სიმართლე რომ გითხრათ, დიდი იმედი არა მაქვს.

***— რატომ არ გაქვთ იმედი?***

— იმიტომ, რომ ვხედავ, როგორ ცდილობენ ვიღაცები ამ საქმის შეჩერებას.

***— კონკრეტულად ვინ ცდილობს, შეგიძლიათ დაასახელოთ მათი ვინაობა?***

— ვინ აჩერებს და საელჩოები.

***— საელჩოებს რა ინტერესი აქვთ?***

— მათი ინტერესი ძალიან დიდია. ისინი 9 წლის მანძილზე ხელს აფარებდნენ ნაციონალებს. დემოკრატიის შუქურებს და ლამპიონებს ეძახდნენ. ახლა როგორ გგონიათ, აწყობთ საელჩოებს, რომ მსოფლიომ ნაციონალების ნამდვილი სახე დაინახოს?! დიპლომატები ყოფილი ხელისუფლების წევრებს დღემდე მფარველობენ, ამიტომაც არიან ესენი დიდ გულზე და თავად მოღალატეები ჩვენ გვაკერებენ ამ იარლიყს. დიდი მცდელობის მიუხედავად, ჩვენი მოსახლეობა იმაში ვერ დააჯერეს, რომ მე ქვეყანას ვუღალატე. 2008 წლის აგვისტოში კოდორი ჩააბარეს და მაშინ ყველა დარწმუნდა ჩემს სიმართლეში. ამ ფაქტმა საბოლოოდ გამოაჩინა, ვინ იყო გამყიდველი და ვინ — პატრიოტი.



პატრიოტთა ალიანსი ამ მოღალატეების თარეშს არ დავუშვებთ, ისინი აუცილებლად მიიღებენ საკადრის პასუხს. დარწმუნებული ვარ, რომ ნაციონალებს პოლიტიკურ სამარემდე სწორედ პატრიოტთა ალიანსი მიიყვანს და ამ პოლიტიკურ სამარეში ჩავუშვებთ კიდეც.

***— მოდით, კოდორის ჩაბარებაზეც ვისაუბროთ, ამ საქმის შესწავლასაც ითხოვდით და რა ხდება ამ მიმართულებით?***

— არაფერი არ ხდება. ეს ამბავი ყველას აინტერესებს, მაგრამ მისი შესწავლა არ მოხდება. ამ თემას ტაბუ ადევს და დაბლოკილია.

***— ვინ ბლოკავს ამ საქმის შესწავლას?***

— ე.წ. ჩვენი პარტნიორი ქვეყნები. კოდორის ჩაბარების უკანაც ეგენი დგანან და რაში აწყობთ სიმართლის გარკვევა. ყოფილი ხელისუფლება ამიტომ არ გრძნობს თავს დამნაშავედ, ისინი სხვა ქვეყნების მითითებით მოქმედებდნენ.

***— კოდორის ჩაბარება პარტნიორ ქვეყნებს რაში აწყობდათ?***

— ისინი რუსეთთან არიან გარიგებული. გარიგების პირობა ასეთი იყო, აფხაზეთი რუსეთს უნდა დარჩენოდა. კოდორის ხეობა აფხაზეთში ერთადერთი ადგილი იყო, სადაც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდებოდა. სანამ კოდორი ჩვენ მიერ კონტროლდებოდა, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთს თავში აზრადაც კი არ მოსვლია.

აფხაზეთი რუსეთს რომ წაეღო, საჭირო იყო კოდორის ჩაბარება. ამას მე და ჩემი თანამებრძოლები არ დავუშვებდით. ამიტომაც მოგვაშორეს იქედან. ჩვენ მაშინ მარტო ნაციონალებს კი არა, მთელ მსოფლიოს დავუპირისპირდით. იგივე მოხდა სამაჩაბლოშიც. იქაც ჩააბარეს ახალგორი და გადაუფორმეს რუსებს სამაჩაბლო.

სამწუხაროა, რომ ამ კუთხეების დასაბრუნებლად, ლაპარაკის გარდა, არაფერი კეთდება. გაიძახიან, აფხაზები უნდა დავიბრუნოთო. სხვათა შორის, ეს ჩემი სიტყვებია. 15 წლის წინ მე ვთქვი, რომ აფხაზეთი კი არა, ჯერ აფხაზები უნდა დავიბრუნოთ. თუ დავიბრუნებთ, კარგია, მაგრამ მათი დაბრუნება გამორიცხულია.

***— გამორიცხული რატომ არის?***

— აფხაზებს ჯერ კიდევ გუშინ დედას ვაგინებდით. ისინი ასეთ რამეებს იოლად არ ივიწყებენ. ადამიანის გული რომ მოიგო, ამ გულის გასაღებს უნდა მიაგნო. ყველა კლიტეს სჭირდება თავისი გასაღები.

***— გამოდის, რომ მაინც არის აფხაზების მობრუნების შანსი?***

— როგორ არ არის, ოღონდ ამისთვის გასაღებია მოსაძებნი. წლების წინ მათთან და ოსებთან უკვე მოგვარებული გვქონდა საქმე. ამ საკითხზე მათთან არაერთი მოლაპარაკება გვქონდა, მაგრამ ამაზე ხმა არ ამოგვიღია. აფხაზებს დღემდე უყვართ ქართველები, ქართველებსაც გვიყვარს აფხაზები, მაგრამ ერთმანეთის სიყვარულს არ გვანებებენ.

***— ვინ არ გვანებებს ერთმანეთის სიყვარულს?***

— ვინ არ გვანებებს და ე.წ. სუპერ სახელმწიფოები. ეგენი გვიშლიან ოსების სიყვარულსაც. მაგათი ხრიკები რომ არა, ეს პრობლემა მოგვარებული იქნებოდა. ამიტომ გითხარით თავში, საქართველომ ნამდვილი თავისუფლება უნდა მოიპოვოს-თქო.

***— მოდით, თემა შევცვალოთ და თქვენი მეგობრის, ლევან მამალაძის შესახებაც გკითხავთ. ეს ადამიანი უკვე კარგა ხანია ითხოვს საქართველოში ჩამოსვლას, თქვენი ინფორმაციით, რატომ არ უშვებენ მას სამშობლოში?***

— სანამ პასუხს გაგცემდეთ, ერთ რამეს დავაზუსტებ. ლევანი ჩემი მეგობარი კი არა, ნათელ-მირონია. ის ჩემი შვილის ნათლიაა. ნათელ-მირონობა კი მეგობრობაზე და ნათესაობაზე მეტია.

ახლა რაც შეეხება კითხვას, რატომ არ უშვებენ მამალაძეს სამშობლოში. იმიტომ არ უშვებენ, რომ ეს ვიღაცის ინტერესებშია. ეს ინტერესი იმდენად დიდია, რომ მისი მხარდამჭერი განცხადებების გაკეთებასაც ერიდებიან.

***— განცხადების გაკეთება ასეთი რთულია?***

— გააჩნია, როგორი პიარია აგორებული. ლევან მამალაძეს საშინელებები დააბრალეს და ამიტომაც ერიდებიან მასზე საუბარს. თანაც მას განსაკუთრებულად შავი პიარი აუგორეს.

***— განსაკუთრებულად შავი პიარის აგორება რისთვის დასჭირდათ?***

— ლევანის წინააღმდეგ ნაციონალებმა ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს დაიწყეს ბრძოლა. სამამისოდ მათ რამდენიმე მიზეზი ჰქონდათ. მან ესენი რამდენჯერმე ამხილა სიბინძურეების კეთებაში. მთავარი მიზეზი კი გაცილებით სერიოზული იყო. ლევანი შევარდნაძის მემკვიდრედ მოიაზრებოდა, ამიტომაც გადაეკიდნენ მას ასე. მის წინააღმდეგ ათასი რამე მოიგონეს. საელჩოებიც დაარწმუნეს. ისინიც რაღაცაში გაერივნენ. ახლა ისინიც უშლიან ლევანს ხელს დაბრუნებაში. სამწუხაროდ, ხელისუფლება ვერაფერს აკეთებს. დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნებში საქართველოს პატრიოტთა ალიანსი მნიშვნელოვან წარმატებას მოვიპოვებთ. მაშინ პირადად ვიზრუნებ იმაზე, რომ ეს კაცი თავის ლამაზ ოჯახთან ერთად სამშობლოში დაბრუნდეს.

***— სხვა დევნილებზე არ იზრუნებთ?***

— როგორ არ ვიზრუნებ. ეს ყველაფერი საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ამ ხალხმა სიმართლე იპოვოს. ჩემი ნება რომ იყოს, სააკაშვილსაც დავაბრუნებდი და გიგი უგულავას ვანო მერაბიშვილთან ერთად ციხიდან გამოვუშვებდი. იქ არც სხვა ნაციონალებს დავტოვებდი.

***— გული მოგილბათ ამ ხალხზე თუ რა ხდება?***

— რა გული მომილბა? ამ ადამიანებს მე თავისუფლებით დავსჯიდი.

***— ეგ რას ნიშნავს?***

— ამ ხალხს სააკაშვილიანად თავისუფლად გავუშვებდი საქართველოს ტერიტორიაზე, ოღონდ ქვეყნის დატოვების და დაცვის ყოლის უფლებას არ მივცემდი. მერე ვნახავდით, როგორ მოახერხებდნენ ისინი აქ ცხოვრებას. მერწმუნეთ, ეს მათთვის მძიმე სასჯელი იქნება.

# ახალი სკანდალი დავით ნარმანიას გარშემო

## „თბილისის მერიაში მაღალი პრემიების გაცემა გრძელდება“

შორენა მარსაგიშვილი

დედაქალაქის მერი ისევ სკანდალში გაეხვია. ასე თუ გაგრძელდა, ნარმანია საქართველოს ისტორიაში დავით სკანდალიას სახელით შევა. ამჯერად მას მაღალი პრემიების გაცემაში ადანაშაულებენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ ხელმძღვანელის, ლევან ხაბეიშვილის ინფორმაციით, მერიაში მაღალი პრემიების გაცემა გრძელდება.

ხაბეიშვილის ცნობითვე, ამ ამბავში მერიას არც დედაქალაქის რაიონები ჩამორჩნენ.

„მედიატორის“ ყურადღების ცენტრში ამჯერად ნაძალადევის რაიონი მოექცა. აქ პრემიის სახით ათეულობით ათასი ლარია გაცემული. ხაბეიშვილი ყველაზე მეტად იმან გააოგნა, რომ პრემიები ტესტირებაზე ჩაჭრილ ჩინოსნებს გამოუწერეს.

— ნაძალადევის გამგეობაში, აპრილის თვეში, სააღდგომოდ, 84.000 ლარი პრემია დარიგდა. 60 შტატის 21 შტატგარეშე მოსამსახურესთვის, ჯამში 81 თანამშრომელზე, რაც ნიშნავს, რომ ბიუჯეტიდან თითოზე საშუალოდ 1.000 ლარიანი პრემია გაიცა. ყველა თანამშრომელმა ხელფასის ოდენი პრემია მიიღო. გამოდის, რომ მხოლოდ ნაძალადევის გამგეობის თანამშრომლების შენახვა აპრილის თვეში მინიმუმ 168.000 ლარი დაუჯდა თბილისელებს, — აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ხაბეიშვილი.



მისი ინფორმაციით, პრემიებისგან თავი არც გამგებლის მოადგილეებს შეუკავებიათ.

— ნაძალადევის გამგებელს 2 მოადგილე ჰყავს. მესამე მოადგილის თანამდებობა ვაკანტურია. გამგებლის მოადგილის ხელფასი 1.440 ლარია, ამას ემატება 1.440 ლარი დანამატის სახით. სააღდგომოდ მათ 1.440 ლარიანი პრემიებიც გამოიწერეს. მთლიანობაში ორივემ 4.320–4.320 ლარი აიღო. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ორივე მოადგილე საატესტაციო გამოცდაზე ჩაიჭრა, — აღნიშნავს „მედიატორის“ ხელმძღვანელი.

მისი განცხადებით, არც ნაძალადევის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეები უნდა დავივიწყოთ. მუნიციპალიტეტების თავკაცების პრემიასთან ერთად მათმა ანაზღაურებამ 2.700 ლარი შეადგინა.

— საუბარია მუნიციპალიტეტების 4 ოროსან თავმჯდომარეზე. მათ შესანახად სააღდგომოდ თბილისელებმა 10.800 ლარი გადავიხადეთ. გამოდის, რომ ჩაჭრილების, არაპროფესიონალების, „ქართული ოცნების“ აქტივისტების და მაღალჩინოსნების ნათესავების შენახვა ყოველთვიურად 100 ათასობით ლარი გვიჯდება, — ამბობს ხაბეიშვილი.

ის ვარაუდობს რომ ანალოგიური ვითარებაა თბილისის დანარჩენ რაიონებშიც. ვინ რამდენი აიღო ამ რაიონებში, ეს „მედიატორმა“ ჯერ ვერ გაარკვია.

— ნაძალადევის გარდა, დანარჩენ ცხრა რაიონზეც გამოვითხოვეთ პრემიების შესახებ ინფორმაცია, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია. განცხადება 20 აპრილს დავწერეთ და მხოლოდ ნაძალადევის რაიონმა მოგვცა პასუხი. ეჭვი გვაქვს, სიტუაცია განსხვავებული არც სხვაგან იქნება. საერთო სურათს მაშინვე გავასაჯაროებთ, როგორც კი ინფორმაციას მოვიპოვებთ, — აღნიშნავს „მედიატორის“ თავკაცი.

ის დარწმუნებულია, რომ პრემიებით სხვა რაიონებიც გაგვაოცებენ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ლევან ჩაჩუა: საქართველოში რელიგიური შეუწყნარებლობა არასდროს ყოფილა“

## „ნეოლიბერალური ძალები აძლიერებენ პროპაგანდას 17 მაისის წინ“

მარიამ მჭედლიშვილი

რატომ იბეჭდება მასალები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ? რატომ ვრცელდება დეზინფორმაცია იმაზე, თითქოს საქართველოს სკოლებში მზარდი რელიგიური შეუწყნარებლობაა? რატომ არის შეუძლებელი, რომ მართლმადიდებლური იდეოლოგია წინააღმდეგობაში მოდიოდეს ნამდვილ ევროპულ ფასეულობებთან? რას ნიშნავს თინა ხიდაშელის მინისტრობა? „ახალი თაობა“ ამ საკითხებზე ესაუბრა პოლიტიკური მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას

***— „ბი ბი სის“ სტატიის თანახმად, საქართველოს სკოლებში იზრდება მართლმადიდებლების აგრესიულობა და შეინიშნება შეუწყნარებლობა სხვა რელიგიების წარმომადგენლების, ასევე ათეისტების მიმართ, რასაც ხელს უწყობს მართლმადიდებელი ეკლესიის იდეოლოგია...***

— არანაირი აგრესიულობა და შეუწყნარებლობა არ არის საქართველოს მართლმადიდებლებში, მათ შორის, სკოლების მოსწავლეებში. საქართველოში რელიგიური შეუწყნარებლობა ისტორიულად არ ყოფილა და არც ახლა არის. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არ ყოფილა ანტისემიტიზმი. ეთნიკურ და რელიგიურ ჩაგვრას ქართველის ბუნებაში ადგილი არ ჰქონია. მართლმადიდებლური რწმენა კანონმორჩილებას, სიმშვიდეს და არა აგრესიას ქადაგებს. „ბი ბი სი“ ავტორიტეტული ბრიტანული მედია საშუალებაა და ასეთი მასალების გამოქვეყნება არ ეკადრება. ისე, კარგი იქნება, თუ „ბი ბი სი“, როცა რელიგიურ შეუწყნარებლობაზე დაწერს, საკუთარი ქვეყნიდან მოიყვანოს მაგალითები. კერძოდ, ბრიტანეთში პროტესტანტებმა ქვები დაუშინეს კათოლიკე მოსწავლეებით სავსე ავტობუსს, რომელიც მათ უბანში მოხვდა. ვფიქრობ, რომ ეს სტატია შემთხვევითი დეზინფორმაცია არ არის და ის გამიზნულად გამოქვეყნდა. აგრესიის ერთი შემთხვევა რომ მომხდარიყო, ამის განზოგადება და მთლიანად რწმენაზე იერიშის მიტანა არ შეიძლებოდა.

***— რა მიზნით გამოქვეყნდა ეს სტატია?***

— ზოგად მიზნებზეც ვიტყვი. ამჯერად ახლოვდება 17 მაისი. ეს დღე გარკვეულმა ლიბერალურმა ძალებმა გამოაცხადეს სექსუალური უმცირესობების დღესასწაულად. ჩვენთან ეს დღე ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღეა. წინასწარ ქვეყნდება ასეთი მასალები, რომ 17 მაისს თბილისში გეი-აღლუმი ან სხვა მსგავსი რამ მოაწყონ და ამაზე ხმის ამოღება ვერავინ გაბედოს. ვისაც ასეთი გათვლები აქვს, ცდება.

***— ამავე სტატიაში ნათქვამია, რომ მართლმადიდებლობა პროდასავლურ კურსთან თავსებადი არ არის.***

— ვინც ასეთ განცხადებას აკეთებს, ის აზრზე არ არის, რას წარმოადგენს მართლმადიდებლური რწმენა. ევროპული კულტურა ქრისტიანობაზეა დაფუძნებული და რატომ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში საქართველოს მართლმადიდებლობასთან? ჩვენი იდეოლოგია თავსებადი ნამდვილად არ არის ერთსქესიან ქორწინებებთან. თუმცა, ანტიდასავლურობა აქ არ იკვეთება. ჩვენნაირად ბევრი ფიქრობს ევროპაშიც და მთელ მსოფლიოშიც. სულ ცოტა ხნის წინ, სწორედ ამის წინააღმდეგ საფრანგეთში მილიონიანი მიტინგები მოეწყო. 17 მაისიც, როგორც ვთქვი, ჩვენში ოჯახის სიმტკიცის დღეა. შეუთავსებლობად შეიძლება ესეც ჩაგვითვალონ. თანამედროვე ლიბერალიზმი ერთი შეხედვით ქადაგებს შემწყნარებლობას და კაცთმოყვარეობას. სინამდვილეში, ასე არ არის. მართლმადიდებლობის მიმართ ეს არ ჩანს. ქრისტიანები ისტორიულად კანონმორჩილები იყვნენ. თუმცა, როცა რომელიმე იმპერატორი ან მმართველი რწმენის საწინააღმდეგო კანონს დაამტკიცებდა, ისინი ამის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. დაახლოებით 25 წელიწადია, ვაკვირდებით, რომ ნეოლიბერალური ძალები განსაკუთრებულად ებრძვიან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ უზნეო და ვნებებს აყოლილი ხალხის მართვა ძალიან ადვილია. მორწმუნე და ზნეობრივი საზოგადოებით მანიპულირება — შეუძლებელი. ზნეობა რწმენასა და ეკლესიაზე დგას. ამიტომ უტევენ ეკლესიას. ქართველი ერი რომ ვინმეს ჭკუაზე ბრმად არ დადის, ეს რწმენის დამსახურებაა. ბრძოლა ახლა არ დაწყებულა. უბრალოდ, ბოლო წლებში სატელევიზიო პროპაგანდა უფრო უხეში გახდა. „ქართული ოცნების“ მოსვლამ უკეთესობისაკენ ვერაფერი შეცვალა. ჩვენ ბოლო დღეებში რესპუბლიკური პარტიის აღზევებასაც მოვესწარით. ეს პარტია ღიად აკეთებდა ანტიეკლესიურ განცხადებებს.

***— იქნებ, ეს აღზევება დროებითია?***

— საერთოდ, წუთისოფელიც დროებითია. რესპუბლიკელის მოყვანა თავდაცვის მინისტრის პოსტზე გადამწყვეტ ფაზაში მოხდა. ნატო და რუსეთი სწორედ ამჟამად უპირისპირდებიან ერთმანეთს, განსაკუთრებით, უკრაინაში. ცოტა ხნის წინ, ახლანდელი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნიდან ძალიან აგრესიულად მოუწოდებდა დასავლეთს, რუსეთს ეკონომიკური სანქციები არ აკმაროთ, ღია ომი გამოუცხადეთო. როცა ასეთ განცხადებებს აკეთებ, შენს ქვეყანაზე არ უნდა იფიქრო? არიან ძალები, რომლებიც საქართველოში შემოსვლას და ამ ქვეყნის პოლიგონად გადაქცევას ნატრობენ. რუსეთმა რაც დაგვატეხა თავს, გვახსოვს, მაგრამ გამომწვევად რატომ უნდა ვიქცეოდეთ? მით უმეტეს, რომ არსებობს კიდევ ერთი დამატებითი საფრთხე ხალიფატის სახით, რომელიც, თავის მხრივ, იმუქრება და კავკასიის რუსეთისაგან გათავისუფლებას აპირებს. ჩვენ რომ პოლიგონად გვაქციონ, დასავლელი პარტნიორების შეშფოთებები გვიშველის? 2008 წელს გამოითქვა შეშფოთებები, მაგრამ ჩვენ ადამიანები დაგვეხოცა და მიწები მაინც დავკარგეთ.

***— 2016 წლის არჩევნების შემდეგ მაინც სხვა მთავრობა მოვა.***

— ამომრჩეველი ამ საპარლამენტო არჩევნებს უფრო დაკვირვებით შეხვდება. ხალხის უდიდესი ნაწილი მიხვდა, რომ 2012 წელსაც მოატყუეს პოლიტიკოსებმა. იმ დროს, როცა ბიძინა ივანიშვილი თავის კოალიციას აყალიბებდა, პოლიტპატიმარი ვიყავი. როცა უკმაყოფილებას გამოვთქვამდი, რესპუბლიკელები და ალასანია რატომ დაიყენა გვერდით-მეთქი, ყველა მეუბნებოდა, რომ ეს დროებითი პარტნიორობა იყო. რატომღაც ეს აზრი იყო გაბატონებული. ხმას აძლევდნენ ივანიშვილს და თვალს ხუჭავდნენ ამ პარტიებზე. ახლა გამოჩნდა, რომ სწორედ რესპუბლიკურ პარტიას გამოადგა ივანიშვილი ლოკომოტივად და მთავარ არენაზე გამოიყვანა. დარწმუნებული ვარ, ხალხი არჩევნებზე უპირატესობას მიანიჭებს იმ ხალხს, რომელიც ქვეყნის წინააღმდეგ გარიგებებზე არ წასულა.



# ჯონდი ბაღათურია: თინა ხიდაშელის დანიშვნა თავდაცვის მინისტრად სამარცხვინო საქციელი იყო“

## „მარგველაშვილი დაინტერესებული იქნება, რომ პოლიტიკური გავლენები შეინარჩუნოს“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია აფასებს.

***— ბატონო ჯონდი, რამდენიმე არასაპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიამ პრეზიდენტს ინიციატივით მიმართეთ, რომ არ მოეწერა ხელი მთავრობის ამ შემადგენლობისათვის. თუმცა არაფერი შეცვლილა, მთავრობა დამტკიცდა სწორედ იმ შემადგენლობით, როგორითაც პრემიერმა წარადგინა. როგორია თქვენი შეფასებები?***

— თავიდან პრეზიდენტის გადაწყვეტილება იყო სავსებით გამართლებული, როცა მან ერთი კვირით გადადო მთავრობის წარდგენა. თუმცა მე მიმაჩნია, რომ პრეზიდენტს ასეთ ვითარებაში, ანუ კონსტიტუციის დარღვევის გზით, განახლებული მთავრობა საერთოდ არ უნდა წარედგინა პარლამენტში და, მით უმეტეს, ასეთი შემადგენლობით, როცა ხედავ, რომ თავდაცვის მინისტრად ინიშნება თინა ხიდაშელი.

***— თუკი მაინც წარადგენდა, აზრი ჰქონდა გაჭიანურებას?***

— მე ყველა შემთხვევაში პრეზიდენტის ნაბიჯი გამართლებულად მიმაჩნია, რომ მან ერთი კვირით გადადო. მან პრემიერ ღარიბაშვილს მისცა შანსი, რომ ერთი კვირა ეფიქრა გადაწყვეტილებაზე. ღარიბაშვილს ჰქონდა შანსი, რეალურად განეხილებინა მთავრობა და თავის შეხედულებისამებრ წარედგინა და არა — გვერდიდან კარნახით. თუმცა მხოლოდ ამიტომ იყო გამართლებული. თუმცა, როცა ხედავდა მარგველაშვილი, რომ პრემიერს ამის უნარი არ აქვს, მას ბოლომდე უნდა გაეჭედა სიტუაცია. თუმცა, არც ის იყო ცუდი, რაც გააკეთა.



***— ღარიბაშვილი რატომ არ შეიცვალა?***

— ალბათ, ეს ივანიშვილს უნდა ჰკითხოთ. ჩემი პირადი აზრი ის არის, რომ ღარიბაშვილმა აჩვენა ივანიშვილს, რომ პრობლემებს არ შექმნის. ამიტომ დარჩა, დარჩა თავის გუნდის გარეშე და გადაწყვეტილების მიღების უფლების გარეშე. პრაქტიკულად, უფლებააყრილი პრემიერ-მინისტრია.

***— თინა ხიდაშელი ახსენეთ და რას ფიქრობთ მის გამინისტრებაზე?***

— თინა ხიდაშელის დანიშვნა თავდაცვის მინისტრად სრულიად სამარცხვინო საქციელი იყო და ყველა ხვდება იმას, რომ ეს არ იყო ღარიბაშვილის გადაწყვეტილება. სწორედ ეს იწვევს ჩემსა და ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტს, როცა გვერდიდან ხდება ჩარევა და თანაც ასეთი ნეგატიური კადრების შეტენვის და თავს მოხვევის მიმართულებით.

***— რას გულისხმობთ?***

— თინა ხიდაშელს არანაირი ცოდნა მართვის არ გააჩნია. ის არ არის პატრიოტი. ის არის ჩვეულებრივი რესპუბლიკელი, ჩვეულებრივი ლიბერალი, რომელსაც მიაჩნია, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო შეიძლება, რომ საქართველოს ნაწილად არ განიხილოს და ამის შესახებ არაერთხელ აქვს პირადად მას გაცხადებული. ამიტომ ასეთი თავდაცვის მინისტრის დანიშვნა, რომელიც უშვებს, რომ აფხაზეთი არ იყოს საქართველოს ნაწილი, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულია.

***— იძულებითი იყო ეს გადაწყვეტილება?***

— დიახ, თინა ხიდაშელის კანდიდატურა იყო გარედან თავს მოხვეული პრემიერ-მინისტრისთვის და მან ვერ გამოიჩინა სიმტკიცე და ვერ გაუწია ამას წინააღმდეგობა. სხვა კადრებიც იყო გარედან თავს მოხვეული.

***— ეკონომიკური გუნდის შეცვლის საკითხი რატომ არ დადგა დღის წესრიგში?***

— ხადური და კვირიკაშვილი რომ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს არ იღებენ და ეკონომიკას არ მართავენ, ეს ვინმემ არ იცის ამ ქვეყანაში?! ან რატომ უნდა აგონ ამათმა პასუხი? ვინ მიანდობს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს ხადურს ან კვირიკაშვილს. ქვეყანას მართავს ივანიშვილი და ივანიშვილი საიდან უნდა გადადგეს? ივანიშვილს უარი უნდა ვათქმევინოთ გვერდიდან მართვაზე, თუმცა ამ მთავრობის პირობებში ეს შეუძლებლად მიმაჩნია.

***— საუბარია, რომ კატასტროფულად დაეცა „ოცნების“ რეიტინგი. შეძლებენ 2016 წლის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში დარჩენას?***

— დიახ, „ოცნების“ რეიტინგი მართლაც კატასტროფულად დაეცა და ნდობა პირადად ბიძინა ივანიშვილის მიმართ არის ასევე საკმაოდ შერყეული. ხელისუფლებას აქვს ისევ ფულის იმედი, რომ არჩევნებს დიდი ფულით მოიგებს. ფულს მართლაც აქვს დიდი ძალა, განსაკუთრებით პოლიტიკაში და არჩევნებში, მაგრამ ხელისუფლების შეხედულებები ცოტა გადაჭარბებულია ფულის ძალის შესახებ. ყველაფრის გაკეთებას ფულით ვერ შეძლებს ადამიანი და ყველას და ყველაფერს ვერ იყიდის.

***— ისევ კოალიციურ ხელისუფლებას უნდა ველოდოთ თუ ერთ პარტიულს?***

— მაღალი ალბათობით კოალიცია „ქართული ოცნება“ კოალიცია აღარ იქნება, ყოველ შემთხვევაში, ამ შემადგენლობით აღარ იქნება. უკეთეს შემთხვევაში მაქსიმუმ ორსუბიექტიანი საარჩევნო ბლოკი იყოს. მე ამ სიტუაციაში ივანიშვილს ვერ გავამტყუნებ, პირიქით, უნდა გავამართლო, რადგან ივანიშვილი ხედავს, რომ ავტორიტეტი მისი იყო და რესურსიც მისი იყო. პასუხისმგებლობაც მისი იყო 2012 წელს და თანამდებობებს მოასკუპდა არსაიდან მოსული ხალხი. დგანან ახლა და ევაჭრებიან და ყველაფერზე ნერვებს უშლიან. რატომღა უნდა შემოისვას ამდენი მორიელი ზურგზე?

***— საუბარია, რომ გიორგი მარგველაშვილის გარშემო შეიქმნება ახალი კოალიცია, რომელიც ხელისუფლებას კონკურენციას გაუწევს.***

— ძალიან ლოგიკური იქნება, რომ მარგველაშვილმა ასეთი ნაბიჯები გადადგას. ეს გასაგები იქნება. საკმაოდ განათლებული კაცია, პრეზიდენტის სტატუსი აქვს. თავისთავად ცხადია, რომ ის პოლიტიკურად დაინტერესებული იქნება, რომ პოლიტიკური გავლენები შეინარჩუნოს. ეს ძალიან გასაგებია..

***— გვესმის შეფასებები, რომ ამ ფონზე საკმაოდ კარგად გამოიყურება მარგველაშვილი და ასეა?***

— ამ ხელისუფლების ფონზე ყველა კარგად გამოიყურება. პრეზიდენტი რომ უკეთესად გამოიყურებოდეს მთავრობის ფონზე, ამაში გასაკვირი არაფერი არ არის. პრემიერი ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ იღებს და მარგველაშვილი რომ დამოუკიდებლად ღებულობს გადაწყვეტილებებს, ეს რამდენჯერმე აჩვენა. ნამდვილად არ არის ცუდი და დასაძრახი, რომ მარგველაშვილმა ბედი სცადოს პოლიტიკაში.

# ახალი სკანდალი დავით ნარმანიას გარშემო

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მისი თქმით, როცა თბილისში ამდენი პრობლემაა და ათასობით ადამიანს მედიკამენტის შესაძენი თანხა არა აქვს, ამხელა პრემიების დარიგება არ შეიძლება.

— ნაძალადევში უამრავი ქუჩა საჭიროებს რეაბილიტაციას, მაგალითისთვის სანერგეს, ბუაჩიძის, ღოღობერიძის, ქართველიშვილის ქუჩებს ჩამოვთვლი. მათ გარდა სხვა ბევრი ქუჩა ელოდება შეკეთებას. საქმის კეთების ნაცვლად, ვიღაცები მდიდრდებიან. ეს პრობლემები კი არავის ახსოვს, ამის დასტური ის 44 მილიონი ლარია, რომლის ათვისებაც მერიამ პირველ კვარტალში ვერ მოახერხა, — ამბობს ხაბეიშვილი.

ის ახლო მომავალში მორიგი სკანდალური ინფორმაციების გასაჯაროებას აპირებს.

„მედიატორის“ ბრალდებებს ნაძალადევის რაიონის გამგეობა მალევე გამოეხმაურა. გამგეობა სააღდგომო პრემიებთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ ხელმძღვანელის განცხადებას საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მორიგ მცდელობად აფასებს.

— დღესასწაულისთვის ქვეყნის მასშტაბით ყველა უწყებაში გაიცა პრემიები და ნაძალადევის რაიონის გამგეობა გამონაკლისი ვერ იქნებოდა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი ორგანიზაციის ხელმძღვანელის, მერიის ყოფილი თანამშრომლის ლევან ხაბეიშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნაძალადევის რაიონში აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით ხელფასის ოდენობის პრემიები გაიცა, სიმართლეს არ შეესაბამება, — აცხადებენ გამგეობაში.

მათი განმარტებით, 2015 წლის 2 აპრილის ბრძანების მიხედვით, გამგეობის შტატიან და შტატგარეშე თანამშრომლებზე (81 ადამიანზე) ხელფასის 80%-ის ოდენობის პრემია გაიცა, მაშინ, როდესაც წინა წლებში 100%-იანი პრემიები გაიცემოდა. ხაბეიშვილის ინფორმაცია გამგებლის მოადგილეების პრემიებთან დაკავშირებით ასევე სიცრუეა. მოადგილეებმაც, სხვა თანამშრომლების მსგავსად, არა ხელფასის ოდენობის პრემია, არამედ 80% აიღეს.

— 2015 წელს გამგებელზე აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით პრემიის სახით ხელფასის 50% — 1 300 ლარი გაიცა, მაშინ, როდესაც 2013-2014 წლების ამავე პერიოდში გამგებლებზე 100%-იანი პრემიებია გაცემული (2 600 ლარი). აქვე აღვნიშნავთ, რომ მოქმედი გამგებლის მიერ სააღდგომოდ აღებული პრემია ერთადერთია მისი ამ თანამდებობაზე საქმიანობის განმავლობაში, — აცხადებენ ნაძალადევის გამგეობაში.

ისინი ლევან ხაბეიშვილს ურჩევენ, წინა ხელისუფლების დროინდელი პრემიები შეისწავლოს.

# თემურ შაშიაშვილი: ხელისუფლება ქურდული პრინციპით მოქმედებს“

შორენა კოწოწაშვილი

## სად მიდის თავდაცვის სამინისტროს ფული?

ვის გამო გაიწირა თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე და ვის ინტერესებშია თავდაცვის ხაზით შემოსული დიდძალი თანხების ფარული მოძრაობა და ხარჯები? — ამ და სხვა საკითხების ირგვლივ „ახალი თაობა“ გთავაზობთ ინტერვიუს „თეთრების“ ლიდერ თემურ შაშიაშვილთან.

***— ბატონო თემურ, ღარიბაშვილის მთავრობის წევრებს პარლამენტმა ნდობა უკვე მესამედ გამოუცხადა. იმსახურებს თუ არა მინისტრთა კაბინეტის ეს შემადგენლობა საზოგადოების ნდობას?***

— ის ფაქტი, რომ მოკლე პერიოდში სამჯერ დასჭირდათ ნდობის მიღება, ეჭვქვეშ აყენებს ამ გუნდს და მთელ შემადგენლობას. ვერც მთავრობის გადადგომა, ვერც ახალი მთავრობა, ვერც ვადამდელი არჩევნები სიტუაციას ვერ შეცვლის. ქვეყანას სჭირდება სისტემური ცვლილებები, რისი პოლიტიკური ნება არ აღმოაჩნდა არც შევარდნაძეს, არც სააკაშვილს. პირიქით, მან უფრო დახურული და ბლოკირებული გახადა ეს სისტემა; არ აღმოაჩნდა ამისი ნება არც ივანიშვილს. არ შეიძლება, ერთი კაცის და მისი პოლიტიკური გემოვნებით შექმნილი გუნდი მართავდეს ქვეყანას. ეს არის დამანგრეველი სისტემა. მსოფლიომ არ იცის მაგალითი, რომ ერთი კაცის პოლიტიკური გემოვნებით შექმნილმა ხელისუფლებამ ხალხს რაიმე სასიკეთო მოუტანა.

***— რა ტიპის მმართველობაა საქართველოში? ამბობთ, რომ სისტემურ ცვლილებაზე ივანიშვილის გუნდი არ წავიდა.***

— ქვეყანა იმართება ქუჩით, ქუჩის პოლიტიკოსებით და ქუჩას ხელისუფლებაში მოჰყავს რადიკალები. დღეს ვინმესთვის საეჭვოა, რომ ფიქციაა საქართველოს დამოუკიდებლობაც და ადგილობრივი ხელისუფლებაც?! ნაცვლად იმისა, რომ შვეიცარულ მოდელზე ვიფიქროთ, თურმე უნდა დავამახინჯოთ და დავანგრიოთ ჩვენი სულიერება. სიმახინჯეებით ვიყოთ სავსე, ოღონდ ევროპასთან დავკავშირდეთ. რომელ დამოუკიდებლობაზეა საუბარი?! ყველაფერი ფიქციაა. ქუჩა და რადიკალები ფინანსდებიან სწორედ დასავლეთიდან. მითხარით ქართული ცნობიერების ერთი მედია საშუალება, რომელია დაფინანსებული უცხოეთის მიერ. ქუჩაში რაც ხდება, 99% ქვეყნის გარედან არის დაფინანსებული.

***— კოალიციამ და მისმა ლიდერმა ივანიშვილმა თავიდანვე ცრუ მოლოდინი გააჩინეს, როცა სისტემურ ცვლილებებს გვპირდებოდნენ?***

— საქართველოს სისტემური ცვლილებების გარეშე მომავალი არ აქვს. თუ სისტემური ცვლილებების პროგრამით არ მოდიხარ, ხელისუფლება არ ხარ. მე მხარი დავუჭირე არა ივანიშვილს და ამ ხალხს, არამედ პროგრამას, რომელიც გამოქვეყნდა და ვეღარ ვპოულობ იმ პირველ პროგრამას, რომელიც საიტებზე დაიდო. იქ იყო გაწერილი, როგორ უნდა ჩამოყალიბებულიყო სასამართლო, კონტროლის პალატა, პროკურატურა, საკონსტიტუციო სასამართლო და ა.შ. ეს ყველაფერი იყო სერიოზული. ეს იყო ქვეყნის გადარჩენის პროგრამა. ეს პროგრამა მოქმედებაში უნდა მოვიდეს.

***— ამ პროგრამით აიღო ივანიშვილმა პასუხისმგებლობა გუნდთან ერთად და ის მან აუცილებლად უნდა შეასრულოს?***

— რა თქმა უნდა. დააკვირდით ერთ რამეს: გადადგა მთავრობა თუ არა, მაშინვე აშშ-ის ელჩი მიდის ბიძინა ივანიშვილთან. ამ დროს გამოდის ღარიბაშვილი და ამბობს, არავითარი ცვლილებები არ მოხდება, ორი მინისტრი წავიდა და მხოლოდ ეს ორი ცვლილება იქნებაო. მერე შემოდის მთავარი ცვლილება — თავდაცვის მინისტრი შეიცვალა. რა განცხადებებს აკეთებს სამხედრო მინისტრი ამ დღეებში კაბელების საქმეზე? ვის აქვს უფლება, რომ პროკურატურასა და სასამართლოზე მაღლა დადგეს და თქვას, რომ კაბელების გამო ხალხს არ უნდა ვიჭერდეთ. კაბელების გამო კი არა, იურისტ თინა ხიდაშელს მინდა ვუთხრა, რომ ასანთის ქურდობის გამო ზის ადამიანი ციხეში. ქვეყანა იმართება ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში შემუშავებული წესებით. ეს ქურდების კანონია. სააკაშვილიც ასე მართავდა ქვეყანას. ქურდული პრინციპი რა არის — კანონი კი არა, მთავარია თამაშის წესები. ბიძინა ივანიშვილ-



**ჩამოვიდა ლუკაშენკო საქართველოში, დაეჭვდნენ, ესენი პოზიციას ხომ არ იცვლიანო და ამიტომ მოითხოვეს მთავარი ფიგურის, თავდაცვის მინისტრის შეცვლა. ლუკაშენკოს ვიზიტის შედეგად გაიწირა ორი თვის დანიშნული მინდია ჯანელიძე თავდაცვის მინისტრის პოსტიდან**

მა თქვა, თამაშის წესებს უნდა დაემორჩილოს ყველა, მათ შორის პრეზიდენტი. თამაშის წესებს კი არა, კანონს უნდა დაემორჩილოს. ჩამოვიდა ლუკაშენკო საქართველოში, დაეჭვდნენ, ესენი პოზიციას ხომ არ იცვლიანო და ამიტომ მოითხოვეს მთავარი ფიგურის, თავდაცვის მინისტრის შეცვლა. ლუკაშენკოს ვიზიტის შედეგად გაიწირა ორი თვის დანიშნული მინდია ჯანელიძე თავდაცვის მინისტრის პოსტიდან.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ კაბელების საქმე დასრულდეს. ძალიან დიდი ფული შემოდის საქართველოში, რომლის ნაწილი უკან მიდის, ხოლო დიდი ნაწილი თავდაცვის სფეროში რჩება. ამ ფულით ფინანსდება რევოლუციები და ა.შ. ისეთი რამე გამოაშკარავდება, ამ შემოსული ფულის მოძრაობას და ხარჯვას რომ გაყვნენ, მაგრამ ვერ გაყვებიან. ხიდაშელი დაინიშნა თუ არა, კაბელების საქმეზე დაიწყო საუბარი. დააკვირდით, ამერიკის ელჩი მიდის ივანიშვილთან და არა მთავრობის თავმჯდომარესთან. იცვლება მთავარი ფიგურა, მაგრამ ნახეთ, რა ხდება: პრეზიდენტი ვითომ ვეტოს ადებს. ამერიკას ყველაზე დიდი ფული ჩადებული აქვს მარგველაშვილში. მისი ავტორიტეტის აწევა ამერიკისთვის პრინციპულია. თავდაცვის მინისტრიც მათი კანდიდატურაა და რა განცხადებაც პრეზიდენტმა მარგველაშვილმა გააკეთა, ისიც ამერიკელების ინტერესებით მოხდა. მაშინვე ვთქვი, ხალხში ამ ნაბიჯით მარგველაშვილის ავტორიტეტი აიწევს-მეთქი. ასეც არის. რასაც მარგველაშვილი ამბობს, ეს არის გარე ძალების აზრი და არა — პრეზიდენტის. ის არის მონური ფსიქოლოგიის ადამიანი. ეს არის ცუდი. რაც მთავარია, ის არის ქედმოხრილი ამერიკული ძალების მიმართ.

***— კაბელების საქმეზე ხიდაშელის განცხადება იმის მანიშნებელია, რომ თავდაცვის სფეროში ფინანსური მოძრაობა და კონკრეტულად ეს საქმე საფუძვლიანად არ უნდა იქნეს გამოძიებული?***

— მარტო კაბელების საქმეზე არ არის საუბარი. საერთოდ, სამხედრო უწყება არ უნდა შემოწმდესო. ვიცი, რომ შემოსული ფულის 30% მიდის უკან ან გამოყენებულია სხვა მიზნებისათვის.

***— ანუ ამერიკის ინტერესებში არ არის ალასანია, როგორც თავდაცვის უწყების ყოფილი ხელმძღვანელი, გარკვეულწილად დამნაშავედ გამოჩნდეს?***

— არა. ალასანია ამ შემთხვევაში არაფერი არ არის. ალასანიას უბედურება ის არის, რომ ის გარედან მართვადია. მათთვის მთავარია, რომ უწყებაში დიდი ფული შემოდის და ეს ფული სამხედრო უწყებას და ჯარისკაცებს სრულად არ ხმარდება. სრულად კი არა, ალბათ ნახევარიც. არავის აქვს სურვილი, რომ გარკვეულ იქნას, იმ ფულის დანარჩენი ნაწილი ვის ჯიბეში მიდის, სად მოძრაობს და რას ხმარდება ქვეყანაში.

# იმ ოთახთან მიახლოება, სადაც ბავშვები დაიწვნენ, შეუძლებელი იყო“

## შერმადინ ართმელაძე: „მშობლები სვამდნენ, თრიაქობდნენ, ბავშვები დარჩნენ უყურადღებოდ და დაიწვნენ“

ჩვენ უკვე გწერდით 10 მაისს ქობულეთის სასტუმრო „არმაზში“ გაჩენილი ხანძრის შესახებ, რომელსაც 3 ბავშვის სიცოცხლე შეეწირა.

გუშინ ტრაგედიის ახალი დეტალები გახდა ცნობილი.

ქობულეთის პოლიციის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე დავით პაპავამ, რომელმაც სასტუმროში გაჩენილი კვამლი შენიშნა, შენობიდან ბავშვების ევაკუაციის შესახებ ჟურნალისტებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

დავით პაპავას თქმით, მან სასტუმროსთან მისვლისთანავე დაიწყო ცეცხლმოკიდებული შენობიდან ხალხის გამოყვანა.

შენობაში მყოფები დაბნეულები იყვნენ და ეძებდნენ პირად ნივთებს, მათ გააფრთხილეს ბავშვები და მათი მშობლები, რომ სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინათ შენობა. პაპავამ, ევაკუაციის პარალელურად, სახანძრო, სამაშველო და სამედიცინო ბრიგადები გამოიძახა:



ქობულეთში დაღუპული ბავშვები

— ჩემს თანამშრომლებთან ერთად ვმოძრაობდი ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე, როდესაც ცაზე შევნიშნე შავი ფერის ღრუბელი, მივედით იმ მიმართულებით და დავინახეთ, სასტუმროს ასდიოდა კვამლი, ხანძარი იყო. პირველი, რაც გავაკეთეთ, დავიწყეთ ყვირილი, რომ გამოსულიყვნენ გარეთ. ჩვენ არ ვიცოდით დეტალურად, თუ რამდენი ადამიანი იყო შიგნით. ჩავამტვრიეთ კარი და ვიყვირეთ, სწრაფად გამოსულიყვნენ. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ იქ იყვნენ ბავშვები, შევედით შიგნით და დავიწყეთ მათი გამოყვანა. იყო დაბნეულობა, ზოგი თავის ნივთებს ეძებდა, ჩვენ მივეცით მიმართულება, რომ სასწრაფოდ გასულიყვნენ, ნივთების დრო აღარ იყო. მაქსიმალურად შევეცადეთ, იქ მყოფები გარეთ გამოგვეყვანა, — გაიხსენა დავით პაპავამ.

პაპავას თქმით, იმ ოთახთან მიახლოება, სადაც ბავშვები დაიწვნენ, შეუძლებელი იყო, რადგან შენობაში ალი იყო მოდებული და, სავარაუდოდ, ხანძარი იმ ტერიტორიიდან მოდიოდა.

— იმ მიმართულებით წავედით, საიდანაც სავარაუდოდ კვამლი ამოდიოდა, თუმცა იმ ოთახთან მიახლოება შეუძლებელი იყო, შენობაში იყო ალი. გვერდით ოთახების კარების შემტვრევა მოვახერხეთ, მაგრამ უშუალოდ ის ტერიტორია კვამლში იყო გახვეული. ასევე, შევძელით სხვა ოთახებთან მისვლა და ბავშვების და მშობლების გამოყვანა. გამოძიების პროცესში უფრო დეტალურად გახდება ცნობილი, თუ ვინ სად იყო და რას აკეთებდა. მიმდინარეობს საგამოძიებო პროცესი და დაკითხვები. ტარდება ექსპერტიზა და დადგინდება, რამ გამოიწვია ხანძარი, — აღნიშნა დავით პაპავამ.



სასტუმროს მეპატრონემ ჟურნალისტებს ის ოთახიც უჩვენა, რომელშიც, მისი თქმით, ხანძრამდე ბავშვების ახლობლები სვამდნენ.

სასტუმროს „არმაზის“ მეპატრონე შერმადინ ართმელაძემ გუშინ, 11 მაისს , სასტუმროში რეპორტაჟის მოსამზადებლად მისულ ამბები.გე-ს კორესპონდენტს უთხრა, რომ ბავშვების გარდაცვალების მიზეზი უყურადღებობაა.

— ბავშვები უყურადღებოდ დარჩნენ და დაიწვნენ, მე კი ქონება დამეწვა, — თქვა შერმადინ ართმელაძემ და დაამატა:

— აქ დაბორიალობდა ერთი ახალგაზრდა გოგო, მშობელი თუ ახლობელი. უნდა ჰკითხოთ პოლიციას, მოხდა თუ არა მისი შემოწმება ალკოჰოლზე. 4-5 საათამდე სვამდა ნომერში ვიღაცებთან და ეს ბავშვები დატოვა უყურადღებოდ. მე სახლი დამეწვა, მე კი ვიტირე ბავშვები, მაგრამ იმ ოჯახებს არ შველის. ჩემს გადამწვარ სახლს არ შველის.

მისი თქმით, გამოძიება დაადგენს, უსაფრთხოების ზომები იყო თუ არა.

— ხანძარსაწინააღმდეგო ბალონები მქონდა, ისიც გადამწვარი გდია. ჩემი ვერსია ასეთია — მშობლები სვამდნენ, თრიაქობდნენ, ბავშვები დარჩნენ უყურადღებოდ და დაიწვნენ ბავშვები, მე კი ქონება დამეწვა. ამბობენ, რომ ბავშვები „ზაჟიგალკებს“ ყიდულობენ, თითზე იკეთებენ და თამაშობენო. შეიძლება მე არ ვიყო სწორი..., — უთხრა ართმელაძემ ჟურნალისტს.

სასტუმროს მეპატრონემ ჟურნალისტებს ის ოთახიც უჩვენა, რომელშიც, მისი თქმით, ხანძრამდე ბავშვების ახლობლები სვამდნენ.

ართმელაძის ვერსიას იმეორებენ ხანძრის თვითმხილველები და საოჯახო სასტუმროს მეპატრონის მეზობლები.

ნატო ვერულიძის განცხადებით, ინფორმაცია აქვთ, რომ დაღუპული ბავშვების ოთახის კარი ჩაკეტილი იყო, სავარაუდოდ, რის გამოც მოზარდებმა გამოსვლა ვერ მოახერხეს. მისივე თქმით, ერთ-ერთი ბავშვის ცხედარს ხელში კარის სახელური ეჭირა.

— კაცს თავისი სასტუმროს დაწვა ხომ არ უნდოდა, ნორმალურად იყო ყველაფერი. ამდენი წელიწადი თუ ნორმალურად იყო ყველაფერი, ახლა რას დააშავებდნენ? მაგრამ რა ვიცი, ამბობდნენ, კარები იყო ჩაკეტილიო. დანარჩენების ევაკუაცია თუ განახორციელეს, იმ ოთახიდან ის ბავშვები რატომ ვერ გამოვიდნენ? ყველა თუ გამოვიდა, იმ ბავშვების კარები რატომ ვერ გაიღო? ამბობენ, ჩაკეტილი იყო და იმასაც ამბობენ, რომ ცხედარს ხელში ეჭირა კარის სახელურიო. როგორც ჩანს, ბავშვები რომ ვერ გამოვიდნენ, დარჩნენ შიგნით და მერე ვანას შეაფარეს თავი..., — უთხრა ამბები.გე-ს სასტუმრო „არმაზის“ მეზობლად მცხოვრებმა ნატო ვერულაძემ.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რა ქონებას ფლობს გარემოს დაცვის ახალი მინისტრი გიგლა აგულაშვილი

გასულ კვირას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო პარლამენტარმა გიგლა აგულაშვილმა ჩაიბარა.

პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენამდე გიგლა აგულაშვილი საგამოძიებო სტრუქტურებში მუშაობდა. მისი ქონებრივი დეკლარაციების ათვლაც სწორედ ამ პერიოდიდან იწყება. შესაბამისად, დეკლარირებული ქონების ნუსხაც საკმაოდ ვრცელია.

საჯარო სამსახურის ბიუროს საიტზე განთავსებული მონაცემების მიხედვით, გიგლა აგულაშვილმა პირველი ქონებრივი დეკლარაცია ჯერ კიდევ კახეთის საოლქო პროკურორად მუშაობის დროს, 2000 წელს შეავსო. იმ პერიოდში აგულაშვილის საკუთრებაში ბინა თბილისში (ღირებულება 20.000 ლარი), საგარეჯოში მიწის ნაკვეთი, საბაზრო ღირებულება 7.000 ლარი და თბილისში მდებარე ავტოფარეხი (7.000 ლარად შეფასებული) იყო. ასევე ირკვევა, რომ დედოფლისწყაროს რაიონში მიწის ნაკვეთი 1.920 ლარად 2050 წლამდე იჯარით აიღო. კახეთის საოლქო პროკურორად მუშაობისას გიგლა აგულაშვილის წლიურმა ანაზღაურებამ 450 ლარი, ხოლო გენპროკურატურაში საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობისას 998 ლარი შეადგინა.

გიგლა აგულაშვილს მეუღლე — ქეთევან გილიშვილი და სამი ვაჟიშვილი — ლუკა, გიორგი და მათე ჰყავს.

2001 წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ გიგლა აგულაშვილი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორის თანამდებობაზეა. დეკლარაციის შევსების მომენტში აგულაშვილს ნაღდი ფულის სახით 22.000 ლარი, მეუღლე ქეთევან გილაშვილს 30.000 ლარი, ხოლო შვილებს 7.200 ლარი ჰქონდათ.

კახეთის საოლქო პროკურორის თანამდებობაზე მიღებულმა წლიურმა ანაზღაურებამ 2.420 ლარი, ხოლო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სემინარებზე ლექციების ჩატარების სანაცვლოდ 460 ლარი მიიღო. დეკლარაციიდან ირკვევა, რომ აგულაშვილს კუთვნილი ავტომაქანა 7.200 ლარად გაუსხვისებია.



2002 წელს გიგლა აგულაშვილმა ქონებრივი დეკლარაცია იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო დეპარტამენტის თავმჯდომარის რანგში შეავსო. გიგლა აგულაშვილმა დიდუბე-ჩუღურეთის პროკურორის თანამდებობაზე ყოფნისას წლიური შემოსავლის სახით 1.494 ლარი, ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტში ლექტორის თანამდებობაზე 205 ლარი, საია-ს სემინარებიდან 417 ლარი, სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ლექტორობისას 105 ლარი, ხოლო იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო დეპარტამენტის თავმჯდომარეობისას 250 ლარი მიიღო.

2003 წლის ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას აგულაშვილის უძრავი ქონება უცვლელია. ავტომანქანა, რომლის მარკა უცნობია, აგულაშვილს 10.500 ლარად აქვს შეფასებული. 2003 წლის დეკლარაციის მიხედვით, გიგლა აგულაშვილს ბანკ „რესპუბლიკა საქართველოს" მიმდინარე პლასტიკურ ბარათზე 71,69 აშშ დოლარი, ხოლო ნაღდი ფულის სახით 10.000 ლარი ჰქონდა. მის მეუღლეს ქეთევან გილაშვილს 20.000 ლარი, ხოლო შვილებს — გიორგი და ლუკა აგულაშვილებს 7. 500 ლარი აქვთ. სააღსრულებლო დეპარტამენტის თავმჯდომარეობისას აგულაშვილის წლიურმა შემოსავალმა 6.837, 57 ლარი შეადგინა.

2004 წლის დეკლარაციის თანახმად, გიგლა აგულაშვილი იუსტიციის სამინისტროში სახელმწიფო რეგისტრაციის, ლიცენზირებისა და საჯარო რეესტრის წარმოების დეპარტამენტის უფროსი გახლდათ და ანაზღაურების სახით 1.881,2 ლარი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეობისას 291,67 ლარი, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღის ლიცენზირებისა და რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობრივ სარგოდ 935, 21 ლარი მიიღო. ამავე მონაცემების მიხედვით, აგულაშვილების უძრავ-მოძრავი ქონება უცვლელია.

თითქმის 8-წლიანი შუალედის შემდეგ, გიგლა აგულაშვილმა მორიგი ქონებრივი დეკლარაცია დეპუტატის რანგში 2012 წლის 7 დეკემბერს შეავსო.

ამ დროისთვის აგულაშვილის უძრავი ქონება საგრძნობლად გაიზარდა: 1.000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი წავკისში, 83.00 კვ.მ. ფართის საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქუჩაზე, 30 კვ.მ ფართობის ავტოფარეხი კეკელიძეზე, 94,30 კვ.მ ფართობის არასაცხოვრებელი ფართი თამარაშვილის ქუჩაზე, ასევე არასაცხოვრებელი ფართები კეკელიძის და ნუცუბიძის ქუჩებზე. აგულაშვილის მეუღლის, ქეთევან გილაშვილის სახელზეა 100 კვ. მ ფართის საცხოვრებელი ფართი კეკელიძეზე. რაც შეეხება მიწის ნაკვეთს, აგულაშვილის საკუთრებაშია თბილისში, ხომლელის ქუჩაზე და საგარეჯოში სოფ. ბადიაურში არსებული მიწის ნაკვეთები. ამ დროისთვის აგულაშვილები ორ ავტომანქანას ფლობენ: 2000 წლის გამოშვების მიცუბიშის და 2008 წლის გამოშვების სუძუკი გრანდ ვიტარას.

რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს: თიბისი ბანკში გიგლა აგულაშვილის სახელზე რამდენიმე ანგარიშია, მიმდინარე ანგარიშზე 14.000 ლარი ირიცხება, ვიზა კლასიკზე 1.130.13 ლარი, ვიზა გოლდის ბარათზე 7.03 აშშ დოლარი, ვიზა კლასიკზე 83.51 აშშ დოლარი, ანაბარზე კი 7.40 ლარი. საქართველოს ბანკის ანაბარზე 20.000 ლარი, ხოლო ბანკ „ქართუში" ვიზა პლატინუმზე 8.320.28 ლარი. მეუღლის, ქეთევან გილაშვილის სახელზე თიბისი ბანკში ვიზა კლასიკზე 71.31 აშშ დოლარი ირიცხება. ფულადი თანხის გრაფაში აგულაშვილს 10.000 ლარი, ქეთევან გილაშვილს 7. 000 ლარი, ხოლო შვილის, გიორგი აგულაშვილის სახელზე 5.000 აშშ დოლარია.

დეპუტატი სამეწარმეო საქმიანობითაც ყოფილა დაკავებული.

გიგლა აგულაშვილი შპს „მწვანე კალათას"და შპს „პოლიტტექნოლოგიების ლაბორატორიის" პარტნიორია. თუმცა, ანაზღაურების ორივე გრაფა ცარიელია. რაც შეეხება წლიურ შემოსავლებს, გიგლა აგულაშვილს საია-ში იურიდიული განათლების ხელმძღვანელობის ფონდში ლექტორობისას 2.525 ლარი, ხოლო რესპუბლიკურ პარტიაში აღმასრულებელი მდივნის თანამდებობაზე 27.000 ლარი მიუღია.

აგულაშვილს საკრედიტო სესხებიც ჰქონდა. საკრედიტო ხელშეკრულება შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იზიკრედჯორჯიასთან" ორი სესხი ჰონდა, რომელიც უკვე დაფარა, ხოლო მესამე კრედიტის დაფარვა 2016 წელს უწევს.

შვილების ლუკა და მათე აგულაშვილების სწავლის საფასურმა საერთო ჯამში 6.500 ლარი შეადგინა, ხოლო გიგლა აგულაშვილმა სწავლისთვის 5.113.38 აშშ დოლარი გადაიხადა. გიგლა აგულაშვილის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის დამუშავების გასავალმა 10.000 ლარი შეადგინა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციამ აგულაშვილს 19.000 ლარის მოგება მოუტანა.

2013 წლის 13 დეკემბერს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, აგულაშვილების უძრავ-მოძრავი ქონება უცვლელია.

რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს: გიგლა აგულაშვილს თიბისი ბანკში მიმდინარე ანგარიშზე 435.52 ლარი, ვიზა კლასიკზე 785.84 აშშ დოლარი, ანაბარზე 17.000 აშშ დოლარი, ხოლო ბანკ ქართუს ვიზა პლატინუმზე 14.007.2 ლარი აქვს. მეუღლეს, ქეთევან გილაშვილს თიბისი ბანკში ვიზა კლასიკზე 100 აშშ დოლარი აქვს. ფულადი თანხის გრაფაში გიგლა აგულაშვილს 7.500 ლარი და 5.750 აშშ დოლარი, ქეთევან გილაშვილს 7.000 ლარი და 5.000 აშშ დოლარი, ხოლო შვილს, გიორგი აგულაშვილს 5.000 აშშ დოლარი აქვს.

საქართველოს პარლამენტში აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე გიგლა აგულაშვილის წლიურმა შემოსავალმა 12.491.63 ლარი, ხოლო საია-ს იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდში ლექტორის ანაზღაურებამ 2.109.60 ლარი შეადგინა. ლუკა და მათე აგულაშვილების სწავლის სანაცვლოდ გადახდილმა საერთო თანხამ 19.000 და 3.500 ლარი შეადგინა, ხოლო გიგლა აგულაშვილმა სწავლაში 5.113.80 აშშ დოლარი დახარჯა.

2013 წლის დეკლარაციის თანახმად, გიგლა აგულაშვილის ავიაბილეთების გასავალმა 1.046.10 აშშ დოლარი, სასოფლო-სამეურნეო მიწის დამუშავების გასავალმა 8000 ლარი, ხოლო პროდუქციის რეალიზაციის შემოსავალმა, 32.000 ლარი შეადგინა.

2014 წლის 17 დეკემბერს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, გიგლა აგულაშვილის საბანკო ანგარიშები ასე გამოიყურება:

თიბისი ბანკში მიმდინარე ანგარიშზე 191.26 ლარი, ვიზა კლასიკზე 1160.67 აშშ დოლარი, ანაბარზე 0.33 დოლარი, ხოლო ბანკ „ქართუში" ვიზა პლატინუმზე 7.116.46 ლარი აქვს. მის მეუღლეს ქეთევან გილაშვილს თიბისი ბანკის ვიზა კლასიკზე 2.51 აშშ დოლარი აქვს. აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე აგულაშვილის წლიურმა შემოსავალმა 66.373.71 ლარი შეადგინა. შვილების სწავლის სანაცვლოდ გადახდილმა თანხამ 22.500 ლარი შეადგინა, ხოლო საკუთარ განათლებაში გიგლა აგულაშვილმა 5.113.80 აშშ დოლარი გადაიხადა.

2013 წლის დეკლარაციის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო მიწის დამუშავების გასავალმა 8000 ლარი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა 25.000 ლარი შეადგინა.

**სალომე გოგოხია, ბიპიენი**

# GIZ-ის და კომპანია საქართველოს ნერგების" ერთობლივი პროექტი დედოფლისწყაროში

კომპანია „საქართველოს ნერგები" პირველად 2011 წელს გამოჩნდა საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე. ის ერთ-ერთი დიდი და წამყვანი მეურნეობაა.




კომპანიას აქვს ორი სანერგე მეურნეობა ყვარელსა და სუფსაში, სადაც ხდება ქართული და უცხოური ჯიშების გამოყვანა, ძველი და უნიკალური ჯიშების აღდგენა. ამასთანავე, 2012 წლიდან კომპანია აქტიურად თანამშრომლობს ევროპის ქვეყნების სანერგე მეურნეობებთან.

„საქართველოს ნერგები" აქტიურად არის ჩართული ყველა პროექტში, რომელიც ხორციელდება საქართველოში, გამწვანებისა და ბიომრავალფეროვნების სფეროში.

წარმატებული პროექტებს შორის უნდა აღინიშნოს ევროკავშირისა და კავკასიაში ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის („WWF") წარმომადგენლობის მიერ დაფინანსებული რეგიონალური პროექტი: „კლიმატის ცვლილების პირობებში ტყის ეკოსისტემების მდგრადობის ამაღლება სამხრეთ კავკასის ქვეყნებში" და ამ პროექტის მიხედვით კომპანიამ 150 ჰექტარზე გაანაშენიანა სხვადასხვა სახეობის მერქნიანი მცენარეები.

მიმდინარე პროექტი, რომელსაც კომპანია ახორციელებს საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება „GIZ"-ის დაკვეთით, დედოფლისწყაროში ქარსაფარი ზოლების აღდგენას ითვალისწინებს.

„GIZ"-ი გერმანიის ფედერალური მთავრობის საკუთრებაში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციაა. იგი 130-ზე მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი, მისი მოქმედების არეალი სხვადასხვა სფეროებს მოიცავს. იგი, ძირითადად მუშაობს პარტნიორი ქვეყნების მთავრობებთან, სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.

„GIZ"-ი საქართველოს მხარდამჭერი 1992 წლიდან გახლავთ. საქართველოში ორგანიზაციის ეგიდით მიმდინარე პროგრამები შემდეგ სფეროებს მოიცავს: მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება, მოქმედი კანონმდებლობის დახვეწა, ბიომრავალფეროვნება და ენერგეტიკა.

უკვე წლებია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლები საქართველოსთან, კერძოდ, დედოფლისწყაროში, მდგრადი დეგრადირებული ლანდშაფტის აღდგენის მიზნით ახალ ნერგებს და ქარსაცავ ზოლებს აშენებს.

მოსავლის მატების კუთხით დიდი მნიშვნელობა აქვს ქარსაფარ ზოლებს, რომელთა აღდგენაც დედოფლისწყაროში აქტიურად მიმდინარეობს. ქარსაფარი ზოლების აღდგენის პროექტის განხორციელება ხელს უწყობს ნიადაგის ეროზიის შემცირებას, სახნავ-სათესი მიწების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებებას და ნიადაგის ნაყოფიერების ზრდას.

პროექტის ფარგლებში კომპანია „საქართველოს ნერგებმა" 2000მ. სიგრძის 3 რიგში დარგო 8 სახეობის 2070 ნერგი. თითოეული მცენარის ირგვლივ ჩაერჭო სამი ცალი ბამბუკის ჯოხი და ირგვლივ შემოეხვა მავთულხლართი, აგრეთვე ორმოც მცენარეს ფესვის ყელთან გაუკეთდა „Tal-Ya"-ს ფირმის დამცავი საშუალება, რომელიც ასრულებს წყლის შემკრების ფუნქციას, იცავს ნიადაგს გამოშრობისაგან და სარეველებისაგან. „საქართველოს ნერგების" წარმომადგენლები, პერიოდულად ჩადიან დედოფლისწყაროში და ახორციელებენ მცენარეების მოვლას.

მცენარეთა მოვლა-პატრონობის მორიგი აქცია „საქართველოს ნერგების" თანამშრომლებმა აწ 5 მაისს გამართეს.

დღევანდელი მდგომარეობით ნერგებს 100%-იანი გახარება აქვს. კომპანია „საქართველოს ნერგების" წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ მათი და Giz-ის თანამშრომლობა გაგრძელდება და მსგავს პროექტებში კვლავ მიიღებენ მონაწილეობას.

**ლია გაჩეჩილაძე**

# კალაძე: რატომ შეაჩერა სოკარმა" საქართველოში ქარხნის მშენებლობა

ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ „სოკარის" მიერ საქართველოში მრავალმილიონიანი პროექტის შეჩერებასთან დაკავშირებით პირველი კომენტარი გააკეთა. როგორც მან „რუსთავი ორის" ეთერში აღნიშნა, ქარხნის მშენებლობის გეგმების დროებით შეჩერების მიზეზი ისაა, რომ პროექტი ფინანსურად არამომგებიანია.



— კარბამიდის ქარხნის პროექტი ფინანსურად არამომგებიანი იყო, როგორც საქართველოსთვის, ასევე აზერბაიჯანული მხარისთვის. ეს იყო საერთო შეთანხმება, რომ დროებით შეგვეჩერებინა პროექტის განხორციელების გეგმები. აზერბაიჯანულ მხარეს ჰქონდა პრობლემები ბუნებრივ აირთან დაკავშირებით, ბუნებრივი აირის 80%-ს ვიღებთ აზერბაიჯანიდან, წელს ზამთარში ჩვენ გარკვეული პრობლემები გვქონდა, მიგვეღო ის რაოდენობა. რომელიც სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას და მე მესმის მათი, — აღნიშნა კალაძემ.

იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარმა" საქართველოში კარბამიდის ქარხნის მშენებლობა შეაჩერა, პარასკევს გახდა ცნობილი.

— ეს მოხდა იმის გამო, რომ ჩვენ ვერ შევძელით საქართველოს ხელისუფლებასთან გარკვეული მოლაპარაკებების დასრულება, — განაცხადა სოკარის პრეზიდენტმა აბდულაევმა.

იმის შესახებ,რომ პროექტი ფინანსურად არამომგებიანია, აბდულაევს თავის განცხადებაში არ უსაუბრია. მეტიც — ის აცხადებს, რომ სუმგაიტის ქარხანაში, რომლის მშენებლობაც უკვე მიმდინარეობს, 12 ათასზე მეტი ადამიანი დასაქმდება,

იმის თაობაზე, რომ სოკარი საქართველოში, კერძოდ, ყულევში კარბამიდის ქარხნის მშენებლობას გეგმავდა, 2012 წელს გახდა ცნობილი. მაშინ აბდულაევმა განაცხადა, რომ ქართულმა მხარემ უკვე გამოყო ადგილი საწარმოს მშენებლობისთვის. საწარმოს მშენებლობა თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში იგეგმებოდა. ქარხანა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ქალაქ სუმგაიტში საწარმოს მშენებლობის პარალელურად უნდა აგებულიყო. აღნიშნული საწარმოს მშენებლობა აზერბაიჯანში უკვე დაწყებულია. პროექტის საინვესტიციო ღირებულებად მინიმუმ 700 მილიონი აშშ დოლარი სახელდებოდა.

2012 წლის სექტემბერში მშენებლობის საძირკველში სიმბოლურად კაფსულა საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა და „სოკარ ჯორჯიას" გენერალურმა დირექტორმა ჩადეს.

გასული წლის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ ყულევში თიზის ამოქმედების ვალდებულება „სოკარს" 2 წლით გადაუვადდა. ქარხნის მშენებლობის დასრულების ვადად 2019 წლის ივნისი დასახელდა.

**კომერსანტ.გე**

# დემურ გიორხელიძე: გიორგი ქადაგიძის მოხსნა არაფერს შეცვლის“

## რა არის საჭირო ლარის გასამყარებლად

ნათია ხურცილავა



პარლამენტში ლარის გაუფასურების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივით გამოვიდნენ. ინიციატივა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს ეკუთვნის.

კომისიის შესაძლო შექმნას ეროვნული ბანკი უკვე გამოეხმაურა. იქ თვლიან, რომ ასეთი კომისიის შექმნის მიზანი ეროვნული ბანკის დისკრედიტაციაა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ ეკონომიკის ექსპერტებს ემზარ ჯგერენაიას და დემურ გიორხელიძეს დაუკავშირდა.

***— პარლამენტში იქმნება დროებითი საგამოძიებო კომისია ეროვნული ვალუტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე. მსგავსი პრეცედენტი თუ არსებობს რომელიმე ქვეყანაში?***

**ემზარ ჯგერენაია:**

— მსგავსი პრეცედენტი არ არსებობს არც განვითარებულ და არც განვითარებად ქვეყანაში. ევროპაში ევროს სერიოზული ვარდნა მოხდა და მაშინ იქაც უნდა შექმნილიყო მსგავსი კომისია, მაგრამ არ შექმნილა. ასევე უნდა შექმნილიყო მსგავსი კომისია არგენტინაში, სადაც ასევე მოხდა სერიოზული ვარდნა. საუბარია გაუგონარ, უპრეცედენტო კომისიაზე, ვერ გეტყვით, რა უნდა გამოიძიოს ამ კომისიამ.

***— ზოგადად რა შეგიძლიათ თქვათ ეროვნული ვალუტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე?***

— ახალი არაფერია.

**დემურ გიორხელიძე:**

— მე ვფიქრობ, რომ პარლამენტი ცდილობს, თავისი თითქმის ორწლიანი უმოქმედობა ამ საგამოძიებო კომისიის შექმნით გაამართლოს. ახლა სულაც არ არის საგამოძიებო კომისია საჭირო, ახლა საჭიროა სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რომლის ფისკალურ ნაწილსაც მთავრობა განახორციელებს, ხოლო მონეტარულ ნაწილს — ეროვნული ბანკი. ახლა გამოძიების დრო არ არის, ახლა საჭიროა ამ ძალიან ნეგატიური ფონის განეიტრალება და სტაბილური სიტუაციის შექმნა.

***— ეკონომიკის მინისტრმა კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ზაფხულის სეზონი დადებითად მოქმედებს ეროვნულ ვალუტაზე და მოსალოდნელია ლარის გამყარება. ტურიზმზე კეთდება აქცენტი. ტურიზმი რა დივიდენდებს მოგვიტანს ამ მიმართულებით?***

— შეიძლება ტურისტების რაოდენობის გაზრდამ ელემენტარული ზემოქმედება მოახდინოს ლარის გამყარებაზე. თუმცა, ასე მარტივად არსებულ სიტუაციას ვერაფერი ვეღარ შეცვლის.

***— რატომ, პროცესი ასე ღრმად არის წასული?***

— ლარის პრობლემები საქართველოს ეკონომიკის ფუნდამენტური პრობლემებშია. ლარის მდგომარეობიდან გამოსაყვანად საჭირო პოლიტიკა დღეს საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია.

***— მთავრობას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხედვა არ აქვს?***

— მთავრობის მეთაურისგან რაც მოვისმინე, ის არ შეესაბამება იმას, რაც საქართველოს ეკონომიკას სჭირდება.

***— რა ნაბიჯი უნდა გადადგას ხელისუფლებამ, რომ პროცესი სტაბილიზაციისკენ წავიდეს?***

— საქართველოს სჭირდება სწრაფი ეკონომიკური ზრდა და სამუშაო ადგილები. ასევე საჭიროა ეკონომიკური მაღალი აქტივობა. ასევე საჭიროა იმპორტის ჩამნაცვლებელი წარმოების განვითარება. ასევე საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და არა რაღაც აბსურდული საუბარი, რომ ტურისტები შემოვლენ ქვეყანაში და ეროვნული ვალუტა გამყარდება.

***— არსებული მდგომარეობის გამოსწორება რამდენად შესაძლებელია პრივატიზაციის პროცესის განახლებით?***

— კი ბატონო, გავყიდით რაღაც ობიექტს და მივიღებთ ფულს, შევჭამთ იმ ფულს და მერე რა?! რა შეიცვლება ამით? რომელი პრობლემა გადაწყდება? ბოლოს გასაყიდიც აღარაფერი დაგვრჩება.

***— ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ მათ ხელისუფლებას ეკონომიკური გეგმა შესთავაზეს, რომელსაც მთავრობა არ ატარებს. თუ იცნობთ ამ გეგმას და რამდენად მისაღებია ის?***

— მთლიანობაში ეს ის მაკრო-ეკონომიკური პოლიტიკა არ არის, რომელიც საქართველოს დღეს სჭირდება.

***— ხელისუფლებას ლარის კურსის მაჩვენებელი რა ნიშნულამდე შეუძლია მიიყვანოს?***

— თუ სიტუაცია არ გაუმჯობესდება, ლარზე ზეწოლა არ მოიხსნება, ლარი ნელ-ნელა წავა ქვევით.

***— თუ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადაყენების საკითხი დადგა დღის წესრიგში, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

— ნაკლებად მაინტერესებს, ვინ არის და ვინ იქნება ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. მე მაინტერესებს, ხელისუფლებას გააჩნია თუ არა ის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ მთავრობის დონეზე არ სრულდება და მისი მონაწილე ეროვნული ბანკიც არის. ორი წელია, რაც მთავრობა თავისთვის მოქმედებს და ეროვნული ბანკი თავისთვის, ეკონომიკა კი უმძიმეს მდგომარეობაშია. ასეთ ვითარებაში რაღაც ცვლილებებზე საუბარი შეიძლება გამართლებული იყოს, მაგრამ რა შედეგს მოიტანს, რთული სათქმელია. გუნდურობის პრინციპიდან გამომდინარე, ვიღაც „ქართული ოცნებიდან“ დაინიშნება და ვინ დაინიშნება? რა ხედვები აქვს ამ კაცს? რა შეუძლია? რას შეცვლის? ამ კითხვებზე აქვს ვინმეს პასუხი? ალბათ არავის. ამიტომ ახლა ასეთ ხელოვნურ ცვლილებას აზრი არ აქვს.

# მანანა კობახიძე: ერთი-ორი მინისტრი შეიცვლება“

გულიკო ბალაძე

რას უნდა ველოდოთ რიგის სამიტისგან, იგეგმება თუ არა მთავრობაში მორიგი ცვლილებები — ამ და სხვა თემებზე პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე „პირველ პრესკლუბში“ ჟურნალისტებს ესაუბრა.

***— სამთავრობო ცვლილებები დასრულდა თუ შემოდგომაზე კიდევ არის მოსალოდნელი?***

— მინდა იმედი მქონდეს, რომ სამთავრობო ცვლილებები დასრულდა. თითოეული ასეთი ცვლილება საზოგადოებაში გარკვეულ წუხილს და შეშფოთებას იწვევს, შეიძლება არასტაბილურობის განცდას. ამიტომ ვიმედოვნებ ეს ცვლილებები არჩევნებამდე ბოლო იქნება და ახლად ნდობაგამოცხადებული მთავრობით ჩვენ მივიდეთ არჩევნებამდე სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ გვჭირდება სტაბილურობა, ძალიან ბევრი მუშაობა იმისათვის, რომ ჩვენი მოქალაქეების ეკონომიკურ-სოციალური პრობლემები იყოს მოგვარებული. ამისათვის გვჭირდება სტაბილური მთავრობა. ამიტომ ვისურვებდი, ეს იყოს ბოლო. თუმცა ერთი-ორი მინისტრის ცვლილება შეიძლება კიდევაც განხორციელდეს. არც ეს შეიძლება გამოირიცხოს, მაგრამ ეს არ მიგვიყვანს ნდობის გამოცხადების საჭიროებამდე.

***— პრემიერ-მინისტრის ცვლილებას გამორიცხავთ?***

— პრემიერ-მინისტრის ცვლილებას გამოვრიცხავ. ვფიქრობ, ბატონი ირაკლი ძალიან ბევრს აკეთებს იმისათვის, რომ მთავრობა იყოს ეფექტური, გუნდი საკმაოდ კონსოლიდირებულია. ეს გამოჩნდა ნდობის გამოცხადების დღეს. იმ ორი დღის განმავლობაში მთავრობამ ანგარიში ჩააბარა არა მხოლოდ პარლამენტს, არამედ საზოგადოებას. პრობლემები არის, მთავრობა სწორად აფასებს არსებულ ვითარებას. ვგულისხმობ ლართან დაკავშირებულ პრობლემებს.

***— ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით კომისია შეიქმნება?***

— ჯერ უნდა მოვისმინოთ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ანგარიში, შესაბამისმა კომიტეტმა უნდა განიხილოს და ამის შემდეგ უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება, არის თუ არა კომისიის შექმნის საჭიროება. წინასწარ ვერაფერს გეტყვით. შესაძლებელია სრულიად საკმარისი იყოს პარლამენტისა და კომიტეტის რესურსი ეროვნული ბანკის საქმიანობის შესასწავლად, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებები რამდენად არის დაკავშირებული ლარის კურსის ცვლილებებთან.

***— გამორიცხავთ, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას ან მის მიმართ იმპიჩმენტს თუ გამორიცხავთ?***

— ამ ეტაპისთვის ეს საკითხები არ განიხილება..

***— ენდიაის კვლევებით დღეს მოქალაქეებს, პირველ რიგში, ფასების ზრდა, სიღარიბე, უმუშევრობა აწუხებთ. ამ სამუელში არ მოხდა ტერიტორიული პრობლემები. როგორ შეაფასებთ ენდიაის კვლევების შედეგებს?***

— ზოგადად, მაქვს ხოლმე კრიტიკული მოსაზრებები ენდიაის კვლევებთან დაკავშირებით. 2012 წლის არჩევნებამდე ცდომილება ხშირი იყო. არჩევნების შედეგებზე სხვა პროგნოზი იყო, სხვა შედეგი დაიდო. შეიძლება ვიყოთ კრიტიკულები. ამაში განსაკუთრებული არაფერია. ეკონომიკური მიმართულებით წუხილი რომ არსებობს როგორც მთავრობაში, ასევე პირველ რიგში მოსახლეობაში, აქ ახალი არაფერია. მთავარია, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა იყოს, გაჩნდეს სამუშაო ადგილები, მოვიზიდოთ ინვესტიციები. ეს ის ღონისძიებებია, რომელიც ლარის კურსთან დაკავშირებით შედეგს გამოიღებს. მეტი ინვესტიციის მოზიდვა პირდაპირ ლარის კურსთანაა დაკავშირებული. ამ კვლევებში რაიმე ახალი და განსაკუთრებული არ არის. ეს ჩვენ კარგად გვაქვს გააზრებული და კარგად გვესმის მოსახლეობის წუხილი. ტერიტორიული მთლიანობის საკითხი კი 90-იანი წლებიდან მოყოლებული მუდმივი პრობლემაა, რომელზეც საზოგადოება და ხელისუფლება მუდმივად ფიქრობს და წუხს.



***— კვლევების მიხედვით გამოკითხულთა 80% ფიქრობს, რომ რუსეთს აქვს გავლენა საქართველოზე.***

— გააჩნია, რა გულისხმობენ გავლენაში. რუსეთს გავლენა არა აქვს ხელისუფლების პოლიტიკაზე. ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსი არის აშკარად გაცხადებული. ამაში დღეს კიდევ ეჭვების შეტანა და კითხვის ნიშნების დასმა, იქნება სიბეცე. ჩვენი მიზანია, ძალიან სწრაფად შევასრულოთ ის დღის წესრიგი, რომელიც ასოცირების ხელშეკრულების შეთანხმებით, რაც შეიძლება მეტად დავუახლოვდეთ ევროკავშირს. ევროკავშირში გაწევრიანება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, ნატოსთან თავსებადობას მიაღწიოს.

***— რიგის სამიტისაგან რას ელოდებით?***

— 8 მაისს გამოქვეყნდა ვიზალიბერალიზაციის მეორე ფაზის დასრულების შესახებ ანგარიში. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რაც წერია ანგარიშში. მითითებულია სერიოზული მიღწევების შესახებ, რომელიც ქვეყანას აქვს. მაგალითად, დოკუმენტების უსაფრთხოების შესახებ. მათი დაცულობის თაობაზე ქვეყანამ ნამდვილად შეასრულა ყველა ის ამოცანა, რაც ჰქონდა ამ გეგმით. ძალიან მნიშვნელოვანია საზღვრების მოწესრიგება და სასაზღვრო კონტროლი, რომელიც ასევე მაღალ შეფასებას იმსახურებს. ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები და მიღწევები დადებითადაა შეფასებული. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება ასევე ემსახურებოდა იმას, რომ უფლებათა დაცვის ჩვენი სტანდარტი იყოს მიახლოებული ევროპულ სტანდარტთან და ადამიანებს არ ჰქონდეთ მოტივაცია, დატოვონ ქვეყანა იმიტომ, რომ ისინი დისკრიმინაციის მსხვერპლს წარმოადგენენ, ითხოვონ თავშესაფარი ევროპულ ქვეყნებში იმიტომ, რომ ისინი დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდნენ.

***— რიგის ამ სამიტისთვის არსებობს საფუძველი იმისა, რომ საქართველოსთან ვიზალიბერალიზაციის თაობაზე გადაწყვეტილება იყოს მიღებული?***

— ვფიქრობ, შესაბამის დეკლარაციაში დაფიქსირდება ის წარმატებები, რაც ჩვენს ქვეყანას უკვე აქვს. დარწმუნებული ვარ, ამ ანგარიშის საფუძველზე ჩვენი პარტნიორი ქვეყნები გარკვეულ განაცხადს გააკეთებენ და პერსპექტივა გაცილებით მოგვიახლოვდება საბოლოოდ უვიზო მიმოსვლის შემოღებისთვის. ამ პერსპექტივის წინაშე ჩვენ ნამდვილად დავდგებით რიგის სამიტზე. თუმცა, ზუსტად იმის თქმა, რომ ჩვენ სამიტის მეორე დღიდან უვიზოდ შევალთ ევროპაში, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება სწორი. ეს მოლოდინები არ უნდა გავაჩინოთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მნიშვნელოვანი წინსვლა იქნება და ჩვენც მოლდოვის მსგავსად შევძლებთ უვიზო რეჟიმის სერვისით ვისარგებლოთ. ხელისუფლება ამ შედეგისთვის ყველაფერს აკეთებს.

***— მოლდოვამ რით გაგვისწრო?***

— გარკვეული პროცედურები მოლდოვასთან უფრო ადრე დაიწყო. ჩვენ ძალიან ბევრი გავაკეთეთ არჩევნების შემდგომ პერიოდში. პროცესები წინა ხელისუფლების პერიოდში იყო დაწყებული, მაგრამ თვითონ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ორი ფასით განსაზღვრული დღის წესრიგი ჩვენ საკმაოდ მცირე დროში, ძალიან მცირე დროში განვახორციელეთ და კარგი შედეგები დავდეთ. მოლდოვასთან გარკვეული პროცედურები ადრე დაიწყო და შედეგიც ადრე დადგა..

## შსს-მ სიღნაღში 16.527 ცალი საბრძოლო ვაზნა და უკანონო პისტოლეტი ამოიღო

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სიღნაღის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში, მოქალაქის საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას, 16.527 ცალი საბრძოლო ვაზნა, „ტეტეს“ ტიპის არარეგისტრირებული პისტოლეტი 2 მჭიდით და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 4 მჭიდი ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა სროლისთვისვარგისია.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

## სასაზღვრო პოლიციის №3 სამმართველოს რუსთავის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის №3 სამმართველოს (წითელი ხიდი), საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტის „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ ფარგლებში, რუსთავის №18 საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ.

მოზარდები სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურას და მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ, დაათვალიერეს მესაზღვრეთა პირადი შეიარაღება და ტრანსპორტი. სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლები მოსწავლეებს მესაზღვრის პროფესიის შესახებ ესაუბრნენ და საზღვრის დაცვის თანამედროვე ტექნოლოგიები გააცნეს. სტუმრებმა ასევე მოინახულეს კინოლოგიური სამსახური. ვიზიტის ბოლოს, მოსწავლეებმა დაათვალიერეს სახმელეთო საზღვრის ზოლი და სათვალთვალო კოშკურა.

პროექტის „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ მიზანია არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია, უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშეწყობა, მართლმსაჯულების საკითხების შესახებ მოზარდთა ინფორმირებულობის გაზრდა და მოსწავლეებში სამართალდამცავი უწყების მუშაობის შესახებ რეალური წარმოდგენის შექმნა.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, ნერვის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საოცრებაა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

2015, 12 მაისი, №108

# უკრაინა: მდგომარეობა რთულდება

უკრაინულ სპეც-სამსახურების მონაცემებით 1-9 მაისს უკრაინის მთელს ტერიტორიაზე პროვოკაციების ტალღა იყო მოსალოდნელი. ეს შემთხვევითი როდია. როგორც პირველი, ისე 9 მაისი უკრაინის მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის (განსაკუთრებით სამხრეთ -აღმოსავლეთ რეგიონში) დღესასწაულია. ამ დროს ქუჩაში გამოდიან როგორც ვეტერანები, ასევე ლუმპენებიც. კრემლიც შეეცადა მორიგი შეტაკებების პროვოცირება მოეხდინა. პროგრამა მინიმუმი უკრაინული სახელმწიფოს დისკრედიტაცია იყო, პროგრამა მაქსიმუმი ახალი პრო-რუსული ტალღის აგორება, ინიციატივის ხელში აღება, უკრაინული სახელმწიფოს დაშლის დაწყება. მოსკოვის ასეთი გააქტიურება შენმთხვევით რიდი იყო. 10 მაისს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით გერმანის კანცლერი ანგელა მარკელი უნდა ჩასულიყო. პუტინსაც სულით-გულით სურდა კანცლერისათვის უკრაინაში მასობრივი პრო-რუსული მიტინგები ეჩვენებინა.

### ჩაშლილი განზრახვა

როგორც მოსალოდნელი იყო, კიევსა და ლვოვში მასობრივი პრორუსული მიტინგები ჩაიშალა. მართალია ე.წ. „ოპოზიციური ბლოკი“ იმუქრებოდა, ქუჩაში 20.000 ადამიანს გამოვიყვანთო, მაგრამ მხოლოდ 1.000-ის გამოყვანა შეძლეს. მილიციამ და სეცსამსახურებმაც სიტუაციის დარეგულირება მოახერხეს. პრორუსული ძალების მხრივ უხვად იყო პოროვოკაციები: სტალინის პორტრეტებით სირბილი, ანტი-უკრაინული ლოზუნგები, რამაც მოქალაქეების აღშფოთება გამოიწვია. შეტაკებების თავიდან აცილება მოხერხდა, რისი უმთავრესი მიზეზიც ისაა, რომ პრორუსული მიტინგები მცირერიცხოვანი იყო.

ოდესაში შეტაკებების ინსპირირებაზე მოსკოვი დიდ იმედებს ამყარებდა. მოსახლეობის სიჭრელე, გასული წლის 2 მაისის ტრაგედია, რომლის მიზეზებიც დღემდე გამოუძიებელია, მოუშუშებელ ჭრილობად რჩება. მიუხედავად ამისა, არც 2 მაისს, არც 9-ში პრორუსულ მიტინგზე ბევრი ხალხი არ შეიკრიბა. პროფკავშირების სასახლესთან (ე.წ. კულიკოვოს ველი) მხოლოდ 2.000 მოქალაქე მივიდა. ისინი საოცრად აგრესიულად იქცეოდნენ და გაჰკიოდნენ: „ბენდერელებო, ოდესიდან გაეთრიეთ!“ რუსულმა ტელევიზიამ ეს ფირზე აღბეჭდა და ეთერში გაუშვა. ამავე დროს არ გადასცეს ოფიციალური ღონისძიება, სადაც უკრაინელმა პატრიოტებმა მოიყარეს თავი. მას 30.000 ადამიანი დაესწრო.

— ძალები აშკარად არათანაბარი იყო, — პუტინის მომხრეებმა გამწვავებაზე წასვლა ვერ გაბედეს, იტყობინება 112 არხი.

მიუხედავად ამისა, ტერაქტების საფრთხე მაინც რჩებოდა. უკრაინის უშიშროების სამსახურმა დააკავა დივერსანტების ჯგუფი, რომელიც მემარჯვენე სექტორის სახელით 9 მაისს ოდესაში ტერაქტებს გეგმავდა. ყველა მათგანი ე.წ. „დონეცის რესპუბლიკის“ შეიარაღებული ბანდების წევრი აღმოჩნდა. ერთად-ერთი ქალაქი, სადაც მტერმა ექსცესების პროვოცირება მოახერხა, ნიკოლაევი იყო. აქ მოხდა შეტაკება უკრაინელ პატრიოტებსა და პრორუსულ ძალებს შორის. პუტინის მომხრეებმა გაქცევით უშველეს თავს.

### გალეშილი ზახარჩენკო

როგორც ცნობილია, ნაციზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავი უკრაინაში რიგი თავისებურებებით გამოირჩეოდა. არ ჩატარებულა სამხედრო პარადი, საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობდნენ როგორც წითელი არმიის, ასევე უპა-სა და დონბასის ომის ვეტერანებიც. პარადი მხოლოდ სეპარატისტების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გაიმართა. უწინარეს ყოლისა ესაა ყირიმი, ასევე დონბასის ნაწილი.

— დონეცსკა და ლუგანკში ჩატარებულმა სამხედრო აღლუმმა დამთრგუნველი შთაბეჭდილება იქონია, — წერს ამერიელ ექსპერტი კლარკი.

მართლაც, ჯარისკაცთა უმრავლესობა აღლუმზე ალკო-ნარკო ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. უმრავლესობა მათგანმა მოედანზე ბანცალ-ბანცალით ჩაიარა. არანაკლებ კომიკური სიტუაცია დაფიქსირდა ე.წ. „დონეცკის რესპუბლიკის“ სამთავრობო ტრიბუნაზე. ტელე-კამერებმა აღბეჭდეს დონეცკელი სეპარატისტების ლიდერი ზახარჩენკო, რომელიც უღვთოდ იყო გალეშილი. რამოდენიმეჯერ ზახარჩენკო დაბარბაცდა და კინაღამ წაიქცა. ის მის გვერდით მდგომმა მცველმა დაიჭირა.

### ბრძოლა მარინკასთან

როგორც მოსალოდნელი იყო, აღლუმის დამთავრების შემდეგ სეპარატისტები შეტევაზე გადავიდნენ. განსაკუთრებით დაძაბული ვითარება დონეცკის გარეუბანში, კერძოდ მარინკასთან, შეიქმნა.

— ტერორისტებმა მარინკას „გრადები“ დაუშინეს, გაიმართა ბრძოლა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

შედეგად მარინკა ცეცხლის ალში გაეხვია. შეიქმნა რეალური საშიშროება იმისა, რომ სეპარატისტები და რუსი ჯარისკაცები მარინკის გავლით სტრატეგიული მინშვნელობის დაბა პესკიში შეიჭრებოდნენ. ბატალიონმა „სიჩმა,“ რომელიც მარინკას იცავდა, თავდამსხმელებს გმირული წინააღმდეგობა გაუწია. ასევე მაგრად დადგნენ ის ჯარისკაცები, რომლებიც პესკისა და ავდეევკაში არიან გამაგრებულნი. უკრაინელებმა მტერს საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს. შედეგად მოკლულია 24 რუსი ჯარისკაცი და ბოევიკი-სეპარატისტსი. უკრაინელებმა ხელთ იგდეს სამი ტანკი და რამოდენიმე ქვემეხი.



— მტერმა თავს გაქცევით უშველა, — იტყობინება ტელე-კომპანია „ინტერი“.

### მერკელი მოსკოვში ჩადის



ასეთ ფონზე შედგა ანგელა მერკელის ვიზიტი მოსკოვში. რუსეთის პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზე განაცხადა:

— არ მესმის, იემენში პრეზიდენტი იარაღის ძალით რად აღადგინეს, ხოლო უკრაინაში კი ყველაფერზე თვალს რად ხუჭავენ?

ანგელა მერკელმა მიუგო, რომ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა აუცილებლად უნდა აღსდგეს და ეს როგორც დონბასს, ისე ყირიმსაც შეეხება.

— ყირიმის ანექსია საფრთხეს უქმნის მსოფლიო წესრიგს, რომელიც ნაციზმის განადგურების შემდეგ შეიქმნა, — განაცხადა მერკელმა.

გერმანელმა კანცლერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთის მიმარ სანქციები მანამ არ შეწყდება, სანამ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა არ აღსდგება. შეცბუნებულმა პუტინმა მიუგო, რომ ის უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მომხრეა, ოღონდ კიევმა უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონის მოსახლეობასთან საერთო ენა უნდა გამოძებნოს.

### ესკალაცია გარდაუვალია?!

ამრიგად 1-9 მაისს მოსკოვმა უკრაინაში მასშტაბური დესტაბილიზაციის აგორება ვერ შეძლო. მიუხედავად ამისა, ვითარება კვლავაც დაძაბულია. რუსეთიდან დონბასში იარაღისა და ბოევიკების შემოდინება არ წყდება. ე.წ. დონბასელ მოაშქრეთა რაოდენობამ (სადაც დონბასელები მხოლოდ 8.000-ს შეადგენენ) 40.000-ს მიაღწია, რუსეთ-უკრაინის საზღვარზე კი 50.000-იანი რუსული არმიაა განლაგებული. ის ფაქტი, რომ რუსთმა თავის მიზნებს (უკრაინის ევრო-ინტეგრაციის ჩაშლა, ფედერალიზაცია და ა.შ.) ვერ მიაღწია, შემდგომ ესკალაციას ფაქტიურად გარდაუვალს ხდის. ამეზე მეტყველებს როგორც შეიარაღებული ხალხის სიმრავლე დონბასში, ასევე რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული არმიის მსხვილი ნაწილების კონცენტრაციაც.

— რუსეთი შეეცდება დონეცკ-ლუგანსკიდან ფრონტის ხაზის მაქსიმალურად შორს გადაწევას და მარიუპოლის აღებას, — თვლის უკრაინელი ექსპერტი ფისენკო.

ამავე დროს უკრაინული არმიის მაღალი საბრძოლო სულისკვეთება, მოსახლეობის პატრიოტული განწყობილებები (რაც უკრაინის ყველა რეგიონში შეინიშნება) და უკრაინისადმი დასავლეთის დიპლომატიური მხარდაჭერა აიძულებს კრემლს თავისი გეგმების მორიგი კორექტირება მოახდინოს. მაისში მასშტაბური საბრძოლო მოქმედებების გაჩაღება ნაკლებადაა მოსალოდნელი. იქნება პროვოკაციები, ლოკალური ხასიათის შეტაკებები. სავარაუდოდ, ივნისიდან ვითარება მკვეთრად დაიძაბება. შეტაკებების რაოდენობა მოიმატებს. პარალელურად კრემლი შეეცდება უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზეც (ხარკოვი, ოდესა და ა.შ.) დესტრუქციული ტალღა ააგოროს. რუსები არანაირ პროვოკაციას, მათ შორის ტერაქტებსა და დივერსიებსაც, არ მოერიდებიან, ყველაფერს გააკეთებენ, რათა დონბასის გარდა უკრაინაში მეორე ფრონტიც გაიხსნას. სავარაუდოდ, დაძაბულობა პიკს აგვისტოსათვის მიაღწევს. მოსკოვიც მარიუპოლის აღებას სწორედ მაშინ შეეცდება. მარიუპოლის დაცემას კი უნდა მოჰყვეს ახალი მაიდანი კიევში, მასშტაბური სისხლისღვრა და უკრაინის დაშლა. იმაზე, თუ როგორ გადაიტანს აგვისტოს უკრაინა, დამოკიდებულია ამ ქვეყნის ბედი.

ნიკა თევზაძე

## პოლონეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციონერი ლიდერობს



თანახმად ეგზიტპოლის მონაცემებისა, პოლონეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციონერი ანჟეი დუდა ლიდერობს. მან ხმების 34 პროცენტი დააგროვა, მოქმედ პრეზიდენტს კომაროვსკის კი 32 პროცენტი აქვს.

ანჟეი დუდა წარმომადგენელია პარტიის „უფლება და სამართლიანობა,“ რომლის ლიდერიც განსვენებული ლეხ კაჩინსკი იყო. დუდა 1972 წელს დაიბადა. ის სამართლის მეცნიერების დოქტორია. ხარისხი კრაკოვის უძველეს უნივერსიტეტში დაიცვა. წლების მანძილზე პარტია „უფლება და სამართლიანობის“ იურისკონსულტი გახლდა

— იმის გამო, რომ ვერც ერთმა კანდიდატმა ხმების 50 პროცენტი ვერ დააგროვა, გაიმართება მეორე ტური. ის 24 მაისს ჩატარდება, — იტყობინება პოლონეთის რადიო.

## ოლეგ კალუგინი: პუტინი ბლეფობს!



სუკის ექსგენარლმა ოლეგ კალუგინმა, რომელიც ახლა აშშ-ში ცხოვრობს, ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ პუტინის განცხადება ყირიმში ბირთვული იარაღის განლაგების შესახებ, ბლეფია:

— ეს განცხადება დასავლეთის ლიდერთა შესაშინებად არის განკუთვნილი. სინამდვილეში პუტინი მოვლენების ამ კუთხით განვითარებას (ყირიმში ბირთვულ იარაღის განლაგება) უფრთხის, — თქვა ყოფილმა გენერალმა .

ოლეგ კალუგინი კადრის ჩეკისტია. წლების მანძილზე ის სუკის პირველ მთავარ განყოფილებაში (დაზვერვა) მსახურობდა და ერთხანს თვით ვლადიმერ პუტინის უშუალო უფროსიც იყო.

— პუტინი მუყაითი და კეთილსინდისიერი თანამშრომელი გახლდათ, მაგრამ აზროვნებისა და ანალიზის უნარი მუდამ აკლდა, — ამბობს კალუგინი.

ამავე დროს სუკის ექსგენერალმა აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში პუტინი უკრაინასთან მიმართებაში დათმობაზე არ წავა.

— პუტინის რეიტინგი მხოლოდ იმაზე დგას, რომ მოსახლეობის თვალში ის სარგებლობს მაგარი ბიჭის რეპუტაციით, რომელსაც არავისი ეშინია და იმპერიის აღორძინებისათვის იბრძვის. როგორც კი ვლადიმერ ვლადიმირივიჩი უკან დაიხევს, მას უბალოდ დაამხობენ, — აცხადებს კალუგინი.

## დეპუტატი პონომარიოვი ნემცოვის მკვლელობის შესახებ



რუსეთის დუმის დეპუტატმა ილია პონომარიოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ნემცოვის მკვლელობის შემკვეთი პუტინის უახლოესი გარემოცვის წევრია. პონომარიოვმა კონკეტული ვინაობის დასახელებისაგან ამჯერად თავი შეიკავა. მან განაცხადა, რომ პიროვნება, რომელმაც ნემცოვის მკვლელობა შეუკვეთა, ე.წ. „ომის პარტიას“ განეკუთვნება. ეს დაჯგუფება უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ომის იდეით გამოდის და თუკი დასავლეთი ამ ომში ჩაერია, არც ბერლინზე ან ვაშინგტონზე დარტყმას გამორიცხავს.

— კადიროვმა თავისი დემარშით ამ ქორების გეგმები ჩაშალა, — ამტკიცებს პონომარიოვი.

დეპუტამა უარყო ვერსია, რომ მკვლელობის შემკვეთი კადიროვია. არც იმ მოსაზრებას დაეთანხმა, რომ ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების ლიდერი მალე შესაძლაო რუსეთის შს-ს მინისტრად ვიხილოთ:

— კადიროვი ჩეჩნეთიდან გადაყვანა არ იგეგმება, — ამბობს პონომარიოვი.

## აშშ-ში სომეხი კრიმინალები დააკავეს

აშშ-ს პოლიციამ 33 სომეხი კრიმინალი დააკავა. მათ ბრალი შეკვეთილ მკვლელობებში და მედიკამენტებით უკანონო ვაჭრობაში ედებათ.

— თუკი აღნიშნული ბრალდებები დამტკიცდა, დაკავებულებს 35-96 წწ-მდე თავოსუფლების აღკვეთა ემუქრებათ, — იტყობინება ბი-ბი-სი.

## რაულ კასტრო კვლავ მორწმუნე ხდება



კუბის კომუნისტმა დიქტატორმა რაულ კასტრომ რომის პაპთან შევედრის შემდეგ განაცხადა, რომ კვლავ ეკლესიის წიაღს დაუბრუნდება:

— მე დავრწმუნდი, რომ კომუნიზმი ბლეფია, ქრისტიანული ფასეულობები კი უმაღლესი ფასეულობებია, ამიტომაც ეკლესიის წიაღს ვუბრუნდები, — ამბობს კასტრო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ვმკურნალობ სქესობრივ უძლურებას, სათესლე ჯირკვლის ანთებას, საშარდე მილის, სასქესო ასოსა და პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაცია უფასო. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

# შერმადინი და პულენი პლეი ოფში გავიდნენ

დასრულდა იტალიის სერია „ა“-ს რეგულარული ჩემპიონატი და პლეი ოფის წყვილებმაც საბოლოო სახე მიიღეს. საუკეთესო 8 გუნდში მოხვდნენ და ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებენ გიორგი შერმადინის „კანტუ“ და ჯეიკობ პულენის „ბრინდისი“.

ბოლო ტურში „კანტუმ“ სტუმრად 78:75 დაამარცხა „რომა“ და რეგულარული ჩემპიონატი მე-7 ადგილზე დაასრულა. რომაელებთან მატჩში შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 16 წუთში 4 ქულა, 4 მოხსნა, ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა.

პლეი ოფის მეოთხედფინალურ სერიაში „კანტუ“ მე-2 ადგილზე გასულ „ვენეციას“ შეხვდება. რაც შეეხება ჯეიკობ პულენის „ბრინდისის“, ამ გუნდმა მე-6 ადგილი დაიკავა და პლეი ოფის პირველ წრეში მესამეადგილოსან „რეჯიო ემილიას“ შეხვდება.

ბოლო ტურის მატჩი „ბრინდისიმ“ სწორედ „რეჯიო ემილიასთან“ სტუმრად ითამაშა და 63:67 დამარცხდა. პულენი სასტარტო იყო და მოედანზე გატარებულ 28 წუთში 17 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. ის თანაგუნდელ მიკლ ერიკთან ერთად ბრინდილეთაგან საუკეთესო იყო.

პლეი ოფი 18 მაისს დაიწყება.

რაც შეეხება ესპანეთის ჩემპიონატს: თორნიკე შენგელიას გუნდმა ესპანეთის ჩემპიონატის 32-ე ტურის მატჩი სტუმრად, „ესტუდიანტესთან“ წააგო. რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 2 ტურით ადრე, „ლაბორალ კუჩა“ მე-7 ადგილზე იმყოფება, თუმცა მდევრებსაც ქულების ანალოგიური ოდენობა აქვთ და თუ დარჩენილ 2 შეხვედრაში ვერ იმარჯვა, შესაძლოა პლეი ოფის მიღმა დარჩეს.

სტუმრად 76:86 წაგებულ შეხვედრაში შენგელიამ 25 წუთი ითამაშა და 8 ქულა დააგროვა. ქართველმა ფორვარდმა 7-დან 1 ორქულიანი და 8-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამიანი კი ააცილა. სხვა სტატისტიკური მაჩვენებელი შენგელიას არ ჰქონია. მომდევნო ტურის მატჩს „ლაბორალ კუჩა“ 20 მაისს, შინ მადრიდის „რეალთან“ გამართავს.

# ლელო ისევ ჩემპიონია

ლელო-სარასენსი – ლოკომოტივი 30:21

**თბილისის. მიხეილ მესხი**

**ლელო-სარასენსი: ყიასაშვილი, თოდუა, ტალახაძე (ბარკალაია 80), ცერცვაძე, გუგავა (ხეცოიძე 35), ხმალაძე, კაჭარავა (მინდიაშვილი 71); სანიკიძე (ჯულაყიძე 62), ლომთაძე (მამისაშვილი 77), მელიქიძე, ხორბალაძე (ჭყოიძე 59), ქოიავა, კოლელიშვილი (მძინარიშვილი 77), კოპაძე, მაისურაძე (კერვალიშვილი 69)**

**ლოკომოტივი: წიკლაური, გ.ბიწაძე (ჟამუტაშვილი 69), ძნელაძე, ჭინჭარაული (კავთიძე 69), კალანდაძე, შკინინი, დავითაშვილი; ბეჟიაშვილი (გასვიანი 62), კვანტიძე, ბეკოშვილი, ცუხიშვილი (ელოშვილი 66), ღუდუშაური, ფოფხაძე, ბერიშვილი, ბ.ბიწაძე**

დიდი ფინალით დასრულდა საქართველოს ჩემპიონატის 2014-15 წლის სეზონის გათამაშება. წლის დამაგვირგვინებელ რკენაში ერთმანეთს ორი თბილისური კლუბი — „ლელო სარასენსი“ და „ლოკომოტივი“ დაუპირისპირდნენ.

ბოლოს კლუბები ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს 2010 წელს შეხვდნენ. მაშინ გამარჯვება „ლოკომოტივს“ დარჩა, ხოლო წელს, წინა ორი გათამაშების ჩემპიონმა „ლელომ“ 30:21 სძლია მოწინააღმდეგეს, რითაც პირველად ქართული რაგბის ისტორიაში ზედიზედ მესამედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

სხვაობა თითქმის მცირეა, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში „ლელოს“ გამარჯვებაში ეჭვი არავის შეპარვია. მეტოქეებმა 3-3 ლელო გაუტანეს ერთმანეთს და გარდასახვებიც ზუსტად დაარტყეს, მაგრამ ლევან მაისაშვილის შეგირდებმა 3 ჯარიმაც ზუსტად შეასრულეს. თუმცა, რკინიგზელთა ლელოები იმ დროს გავიდა, მატჩის ბედი გადაწყვეტილი რომ იყო.

არ შეიძლება ერთი დეტალი უყურადღებოდ დავტოვოთ — „ლელო“ მესამედ კი გახდა ჩემპიონი, მაგრამ სამივე ჯერზე რეგულარული პირველობა მეორე ადგილზე დაასრულა. თუმცა, პლეი ოფების ყველა თამაშში გამარჯვებები მოიპოვა და ეს ამ გუნდის მაღალ კლასზე და მომზადებაზე მეტყველებს.

საწყისი წუთები „ლოკომოტივის“ იყო და დაწინაურებაც შეეძლო, თუმცა წიკლაურს ორი ჯარიმა გაუცუდდა.

„ლელომ“ მალევე მოახერხა თამაშში გარდატეხის შეტანა. ჯარიმიდან ხმალაძემ ბურთი აუტში გადაიტანა, დერეფანის მოგების შემდეგ კი, ლელოელები მოლით მიუახლოვდნენ ჩათვლის მოედანს, სადაც თოდუა მბოჭავს დაუსხლტა და ლელოთი ანგარიში გახსნა, ხოლო ირაკლი ყიასაშვილმა გარდასახვა ზუსტად შეასრულა.

მალევე, დაახლოებით მსგავსი ლელო გავიდა — ხმალაძემ ჯარიმა კვლავ აუტში გადაიტანა, ისევ კარგი მოლი და სანიკიძემ ლელო გაიტანა,



რასაც ყიასაშვილის მორიგი ზუსტი გარდასახვა მოყვა. 27-ე წუთზე ყიასაშვილმა ჯარიმით საკუთარი გუნდის უპირატესობა 3 ქულით გაზარდა — 17:0.

ტაიმის დასრულებამდე ყიასაშვილმა ერთხელაც ზუსტად დაჰკრა ჯარიმა და „ლელო“ შესვენებაზე 20-ქულიანი ჰანდიკაპით გავიდა.

მეორე ტაიმი სხვა სცენარით წარიმართა. ჯერ იყო და შკინინმა მაღალ სიჩქარეზე მიიღო ბურთი, ხაზი გაჭრა და ლელო დადო, რასაც წიკლაურმა ზუსტი გარდასახვა მიაყოლა, მაგრამ მალევე კვლავ 20 ქულით ჩამორჩა — ლელოელთა ლელო ისევ თოდუამ მიითვალა, ხოლო ყიასაშვილმა ზუსტად გარდასახა. ყიასაშვილმა კიდევ ერთი ჯარიმა გამოიყენა და ანგარიში 30:7 გახდა.

მატჩის დასრულებამდე 8 წუთი იყო დარჩენილი და ცხადი გახდა, რომ „ლოკომოტივი“ თამაშის შემომტრიალებელი აღარ იყო. „ლელოც“ ოდნავ მოეშვა და რკინიგზელებმა 2 ლელო შეიტანეს მეტოქის ჩათვლის მოედანზე — ჯერ ბეკოშვილმა, შემდეგ — კალანდაძემ. წიკლაურმაც ორი გარდასახვა გამოიყენა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

# ძიუდოისტების ვერცხლი და ორი ბრინჯაო

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ბაქოს გრან სლემი სამი მედლით დაასრულა და მამაკაცთა საერთო გუნდურ ჩათვლაში 45 ქვეყნის ნაკრებს შორის მე-7 ადგილი დაიკავა. ვერცხლის მედალი მოიპოვა უშანგი მარგიანმა (81კგ), ხოლო ლუხუმ ჩხვიმიანი (60 კგ) და ლევან მატიაშვილი (100 კგ) ბრინჯაოს დასჯერდნენ.

81 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე მარგიანმა ბაქოს გრან სლემზე ვერცხლის მედალი და 300 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა. ოქროს მედლის მოპოვების შანსი ჩვენებურს რუს ხასან ხალმურზაევთან ჰქონდა, მაგრამ ქართველი ძიუდოისტი ტრავმის გამო ტატამზე არ გასულა.

ფინალამდე მარგიანმა ოთხი შეხვედრა მოიგო. ჯერ ჩეხი იარომირ მუსილი 33 წამში შებოჭა, შემდეგ ავსტრიელ მარსელ ოტს იუკო და ორი ვაზარი შეუსრულა, რაც ვადაზე ადრე დასრულებას ნიშნავდა, ასევე ორი ვაზარით მოუმთავრა საქმე იაპონელ გოკი მარუიამასაც, ხოლო ნახევარფინალში კი გერმანელ დომინიკ რესელს მხოლოდ ერთი ვაზარით.

ჩხვიმიანმა ბრინჯაოს მედალთან ერთად 200 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა. უმსუბუქეს წონით კატეგორიაში მოჭიდავე ქართველი რეპეშაჟის ფინალში თანაგუნდელ ამირან პაპინაშვილს უნდა დასჭიდებოდა, მაგრამ ტურნირზე მეორე ნომრად განთესილმა პაპინაშვილმა გადამწყვეტი შეხვედრა აღარ იჭიდავა და მე-5 ადგილს და 100 ქულას დასჯერდა.

ჩხვიმიანმა ძირითად ბადეში მონაკოელი იან სიკარდი იპონით დაამარცხა, რუსი ალბერტ ოგუზოვს ოქროს დროში მოპოვებული შიდოთი გასცდა, მონღოლი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ამარტუვშინ დაშდავაა კი ორჯერ დასცა ვაზარზე. ჩვენებური ნახევარფინალში ფრანგ ვინსენტ ლიმართან იუკოთი დამარცხდა და „ბრინჯაოს ფინალში“ გადაერთო, სადაც პაპინაშვილს უნდა დაპირისპირებოდა.

თავად პაპინაშვილმა უკრაინელ დენის ბილიჩენკოს იპონით მოუგო, მაგრამ ოქრო-ვერცხლის შანსი მეოთხედფინალში დაკარგა, გერმანელ ტობიას ენგლმაიერთან იპონით წაგებით. არადა, ქართველი ძიუდოისტი მეტოქეს ვაზარით უგებდა. რეპეშაჟის ნახევარფინალში კი მსოფლიო რეიტინგის მეორე ნომერმა აზერბაიჯანელი ორხან საფაროვი გააკრა ტატამს.

მატიაშვილმა ჯერ უკრაინელ იაკივ ხამოს იუკოთი სძლია, შემდეგ კი რუს ანდრეი ვოლკოვთან შეხვედრაში ბოჭვაზე მოჰყვა. ჩვენებური რეპეშაჟში კი ჯერ უზბეკ ელიორ მაშარიპოვს გაუსწორდა იპონით, გადამწყვეტ ბრძოლაში კი ოქრუაშვილის მომგები კამბიევი შებოჭა.

მეტს ველოდით ადამ ოქრუაშვილისგან, რომელიც საქმეში მეორე წრიდან ჩაერთო, მაგრამ კამბიევთან ბოჭვით წააგო და სამივე სინჯის მედლისთვის ბრძოლის შანსი უმალ დაკარგა.

ასევე მედლის იმედი გვქონდა ლაშა შავდათუაშვილისგან, რომელმაც ერთი კვირით ადრე ზაგრების გრან პრი მოიგო, მაგრამ ამჯერად მაღალ დონეზე ვერ იჭიდავა.

შავდათუაშვილი აზერბაიჯანულ ტატამზე ორჯერ გავიდა. უკრაინელი არტემ ხომულა წუთსა და 23 წამში გააკრა ბეჭებით ტატამს. მერვედფინალში კი რუსეთის ნაკრების წევრ ზელიმხან ოზდოევთან იპონითვე წააგო და ტურნირს გამოეთიშა.

ბაქოში ტატამზე გავიდნენ ლილუაშვილი, მარგველაშვილი, ზურაბიანი, ტატალაშვილი, მსხალაძე, გურული და ერთადერთი ქალბატონი ესტერ სტამი. მათგან სამეულს მხოლოდ მარგველაშვილი და ტატალაშვილი მიუახლოვდნენ, რომლებმაც მე-7 ადგილთან ერთად 80 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავეს.

# შედეგები

ფეხბურთი

**10 მაისი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სიტი-ქპრ ........................................ 6:0
ჩელსი-ლივერპული ........................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 36 | 25 | 9 | 2 | 70-28 | 84 |
| 2.სიტი | 36 | 22 | 7 | 7 | 77-36 | 73 |
| 3.არსენალი | 34 | 21 | 7 | 6 | 66-33 | 70 |
| 4.მანჩესტერი | 36 | 20 | 8 | 8 | 61-36 | 68 |
| 5.ლივერპული | 36 | 18 | 8 | 10 | 50-39 | 62 |
| 6.ტოტენჰემი | 36 | 17 | 7 | 12 | 55-53 | 58 |
| 7.საუთჰემპტონი | 36 | 17 | 6 | 13 | 48-30 | 57 |
| 8.სუონსი | 35 | 15 | 8 | 12 | 43-44 | 53 |
| 9.სტოკი | 36 | 14 | 8 | 14 | 42-44 | 50 |
| 10.ვესტ ჰემი | 36 | 12 | 11 | 13 | 43-43 | 47 |
| 11.ევერტონი | 36 | 11 | 11 | 14 | 46-48 | 44 |
| 12.კრ. პალასი | 36 | 11 | 9 | 16 | 43-50 | 42 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 36 | 10 | 11 | 15 | 34-47 | 41 |
| 14.ასტონ ვილა | 36 | 10 | 8 | 18 | 30-50 | 38 |
| 15.ლესტერი | 36 | 10 | 7 | 19 | 41-54 | 37 |
| 16.სანდერლენდი | 35 | 7 | 15 | 13 | 30-50 | 36 |
| 17.ნიუკასლი | 36 | 9 | 9 | 18 | 37-61 | 36 |
| 18.ჰალი | 36 | 8 | 10 | 18 | 33-49 | 34 |
| 19.ბარნლი | 36 | 6 | 11 | 19 | 27-53 | 29 |
| 20.ქპრ | 36 | 7 | 6 | 23 | 39-67 | 27 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვილიარეალი-ელჩე ........................ 1:0
ალმერია-მალაგა ............................ 1:2
სელტა-სევილია .............................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 36 | 29 | 3 | 4 | 107-19 | 90 |
| 2.რეალი | 36 | 28 | 2 | 6 | 107-34 | 86 |
| 3.ატლეტიკო | 36 | 23 | 8 | 5 | 67-28 | 77 |
| 4.ვალენსია | 36 | 21 | 10 | 5 | 66-29 | 73 |
| 5.სევილია | 36 | 21 | 7 | 8 | 66-42 | 70 |
| 6.ვილიარეალი | 36 | 15 | 12 | 9 | 46-32 | 57 |
| 7.მალაგა | 36 | 14 | 8 | 14 | 39-43 | 50 |
| 8.ბილბაო | 36 | 13 | 10 | 13 | 35-39 | 49 |
| 9.ესპანიოლი | 36 | 13 | 10 | 13 | 44-44 | 49 |
| 10.სელტა | 36 | 12 | 11 | 13 | 43-41 | 47 |
| 11.სოსიედადი | 36 | 10 | 13 | 13 | 40-46 | 43 |
| 12.რაიო | 35 | 13 | 4 | 18 | 40-63 | 43 |
| 13.ელჩე | 36 | 11 | 7 | 18 | 33-59 | 40 |
| 14.ლევანტე | 36 | 9 | 9 | 18 | 34-65 | 36 |
| 15.ხეტაფე | 35 | 10 | 6 | 19 | 29-54 | 36 |
| 16.ალმერია | 36 | 8 | 8 | 20 | 32-59 | 32 |
| 17.დეპორტივო | 36 | 6 | 13 | 17 | 31-58 | 31 |
| 18.გრანადა | 36 | 6 | 13 | 17 | 26-64 | 31 |
| 19.ეიბარი | 36 | 8 | 7 | 21 | 30-54 | 31 |
| 20.კორდობა | 36 | 3 | 11 | 22 | 21-63 | 20 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლიაგოსტერა-ნუმანსია .................. 0:0
ოსასუნა-მირანდესი ........................ 2:0
სარაგოსა-ალბასეტე ........................ 3:1
რასინგი-ტენერიფე ........................... 1:0
ალავესი-პონფერადინა .................... 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

პადერბორნი-ვოლფსბურგი .......... 1:3
კიოლნი-შალკე ................................. 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 32 | 24 | 4 | 4 | 77-16 | 76 |
| 2.ვოლფსბურგი | 32 | 19 | 8 | 5 | 68-35 | 65 |
| 3.გლადბახი | 32 | 18 | 9 | 5 | 50-23 | 63 |
| 4.ლევერკუზენი | 32 | 16 | 10 | 6 | 59-35 | 58 |
| 5.აუგსბურგი | 32 | 14 | 4 | 14 | 39-40 | 46 |
| 6.შალკე | 32 | 12 | 9 | 11 | 41-38 | 45 |
| 7.დორტმუნდი | 32 | 12 | 7 | 13 | 43-38 | 43 |
| 8.ვერდერი | 32 | 11 | 10 | 11 | 48-60 | 43 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 32 | 11 | 8 | 13 | 47-52 | 41 |
| 10.კიოლნი | 32 | 9 | 12 | 11 | 32-36 | 39 |
| 11.აინტრახტი | 32 | 10 | 9 | 13 | 54-61 | 39 |
| 12.მაინცი | 32 | 8 | 13 | 11 | 43-45 | 37 |
| 13.ჰერტა | 32 | 9 | 7 | 16 | 35-50 | 34 |
| 14.ჰამბურგი | 32 | 8 | 8 | 16 | 22-48 | 32 |
| 15.ფრაიბურგი | 32 | 6 | 13 | 13 | 33-44 | 31 |
| 16.ჰანოვერი | 32 | 7 | 10 | 15 | 36-54 | 31 |
| 17.პადერბორნი | 32 | 7 | 10 | 15 | 30-62 | 31 |
| 18.შტუტგარტი | 32 | 7 | 9 | 16 | 38-58 | 30 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-ინგოლშტადი ...................... 3:1
ნიურნბერგი-ბრაუნშვაიგი ............ 3:1
ჰაიდენჰაიმი-ფიურტი ..................... 3:0

**იტალია. სერია ა**

პალერმო-ატალანტა ........................ 2:3
უდინეზე-სამპდორია ........................ 1:4
ჩეზენა-სასუოლო .............................. 2:3
ემპოლი-ფიორენტინა ....................... 2:3

***ემპოლის მეორე გოლი ლევან მჭედლიძემ გაიტანა***

პარმა-ნაპოლი .................................. 2:2
ლაციო-ინტერი .................................. 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 35 | 24 | 8 | 3 | 65-20 | 80 |
| 2.რომა | 35 | 17 | 13 | 5 | 49-27 | 64 |
| 3.ლაციო | 35 | 19 | 6 | 10 | 65-34 | 63 |
| 4.ნაპოლი | 35 | 17 | 9 | 9 | 64-45 | 60 |
| 5.ფიორენტინა | 35 | 15 | 10 | 10 | 52-44 | 55 |
| 6.სამპდორია | 35 | 13 | 15 | 7 | 45-38 | 54 |
| 7.ინტერი | 35 | 13 | 13 | 9 | 52-40 | 52 |
| 8.ჯენოა | 34 | 13 | 11 | 10 | 49-40 | 50 |
| 9.ტორინო | 34 | 12 | 12 | 10 | 40-37 | 48 |
| 10.მილანი | 35 | 11 | 13 | 11 | 48-46 | 46 |
| 11.პალერმო | 35 | 10 | 13 | 12 | 48-51 | 43 |
| 12.კიევო | 35 | 10 | 12 | 13 | 27-35 | 42 |
| 13.ემპოლი | 35 | 8 | 17 | 10 | 41-45 | 41 |
| 14.უდინეზე | 35 | 10 | 11 | 14 | 39-49 | 41 |
| 15.ვერონა | 35 | 10 | 11 | 14 | 43-60 | 41 |
| 16.სასუოლო | 35 | 9 | 13 | 13 | 42-54 | 40 |
| 17.ატალანტა | 35 | 7 | 15 | 13 | 35-49 | 36 |
| 18.კალიარი | 35 | 6 | 10 | 19 | 43-64 | 28 |
| 19.ჩეზენა | 35 | 4 | 12 | 19 | 34-64 | 24 |
| 20.პარმა | 35 | 6 | 6 | 23 | 29-68 | 17 |

**იტალია. სერია ბ**

კროტონე-ვარეზე ............................. 1:0
საფრანგეთი. 1 ............................. ლიგა
ლანსი-მონპელიე ............................. 0:1
სენტ ეტიენი-ნიცა ............................ 5:0
მარსელი-მონაკო ............................. 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 36 | 22 | 11 | 3 | 78-33 | 77 |
| 2.ლიონი | 36 | 21 | 8 | 7 | 70-32 | 71 |
| 3.მონაკო | 36 | 18 | 11 | 7 | 48-26 | 65 |
| 4.მარსელი | 36 | 19 | 6 | 11 | 69-42 | 63 |
| 5.სტ. ეტიენი | 36 | 17 | 12 | 7 | 47-28 | 63 |
| 6.ბორდო | 36 | 16 | 11 | 9 | 44-42 | 59 |
| 7.მონპელიე | 36 | 16 | 8 | 12 | 44-35 | 56 |
| 8.ლილი | 36 | 15 | 8 | 13 | 39-37 | 53 |
| 9.რენი | 36 | 13 | 11 | 12 | 35-40 | 50 |
| 10.ბასტია | 36 | 12 | 10 | 14 | 36-42 | 46 |
| 11.გენგამი | 36 | 14 | 4 | 18 | 38-52 | 46 |
| 12.ნანტი | 36 | 11 | 11 | 14 | 28-38 | 44 |
| 13.კაენი | 36 | 11 | 9 | 16 | 50-52 | 42 |
| 14.ლორიანი | 36 | 12 | 6 | 18 | 43-48 | 42 |
| 15.ნიცა | 36 | 11 | 9 | 16 | 39-50 | 42 |
| 16.ტულუზა | 36 | 12 | 6 | 18 | 40-59 | 42 |
| 17.რეიმსი | 36 | 11 | 8 | 17 | 44-63 | 41 |
| 18.ევიანი | 36 | 11 | 4 | 21 | 38-57 | 37 |
| 19.მეცი | 36 | 7 | 9 | 20 | 30-55 | 30 |
| 20.ლანსი | 36 | 6 | 8 | 22 | 30-59 | 26 |

**ჰოლანდია. ეიედივიზიონი**

ალკმაარი-ბრედა ............................ 3:2
აიაქსი-კამბური ............................... 3:0
ტილბურგი-დენ ჰააგი ..................... 1:0
იგლზი-ჰერენვენი ............................ 1:1
გრონინგენი-ზვოლე ........................ 0:1
პსვ-ერაკლესი ................................. 2:0
ტვენტე-დორდრეხტი ....................... 3:0
უტრეხტი-ექსელსიორი .................... 2:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

აროუკა-ბოავიშტა ........................... 0:0
მორეირენშე-სეტუბალი ................... 3:1
ეშტორილი-სპორტინგი ................... 1:1
პორტუ-ჟილ ვისენტე ........................ 2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ლოკომოტივი-ცსკა .......................... 1:3
დინამო-ტორპედო ........................... 0:0
ზენიტი-როსტოვი ............................ 3:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-თუნი ................................ 0:0
იანგ ბოიზი-სტ.გალენი .................... 3:1
ციურიხი-ბაზელი ............................. 1:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-სელტიკი ......................... 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ალტახი-რაპიდი ............................... 1:3

**ბელგია. პროლიგა**

ანდერლეხტი-ბრიუგე ..................... 3:1
სტანდარდი-კორტრაიკი .................. 4:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-კერკირა .......................... 2:0
კალონისი-ატრომიტოსი ................... 1:1
პანათინაიკოსი-იანინა ................... 3:1
პანეთოლიკოსი-ვერია ..................... 2:0
პანიონიოსი-პაოკი ........................... 0:0
პანთრათიკოსი-ქსანთი ................... 2:0
პლატანიასი-ოლიმპიაკოსი ............ 1:1
ერგოტელისი-ლევადიაკოსი ............ 0:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

რიზე-ტრაბზონი ............................... 0:2
ბეშიქთაში-გაზიანთეპი .................. 1:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

იაბლონეცი-ლიბერეცი .................... 2:0
ბოჰემიანსი 1905-ბოლესლავი ....... 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოდბესკიჟიე-ზავიშა ....................... 2:2
კრაკოვია-ბელხატუვი ...................... 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მეტალურგი(ზ)-ილიჩევეცი ............ 2:0
კარპატი-ჩერნომორეცი ................. 2:0
დნიპრო-ზორია ................................ 0:2
მეტალურგი(დ)-დინამო ................. 0:6

**დანია. სუპერლიგა**

ჰობრო-სონდერიისკე ..................... 2:2
ოდენსე-მიდტიულანდი ................... 3:1
ბრონდბიუ-ოლბორგი ...................... 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ფალკენბერგი-ჰალმშტადი ............. 1:0
აიკი-ნორჩიოპინგი .......................... 2:2
ჰაკენი-იორებრო ............................. 2:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სანდერფიორდი-ალესუნდი ............ 1:3
ბოდო გლიმტი-სტრომგოდსეტი ... 3:5
ვიკინგი-ოდ გრელანდი .................. 1:1
სარპსბორგი-ჰაუგესუნდი ............. 3:0
მოლდე-სტარტი ............................... 4:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

კულტურა

# ნინი ბადურაშვილს ახალი რჩეული ჰყავს?

ეკა ირემაშვილი

მომღერალი ნინი ბადურაშვილი ბოლო პერიოდში ახალ მამაკაცთან, მსახიობ ბახვა ბრეგვაძესთან ერთად ჩნდება. როგორც მსახიობი ნინი ბადურაშვილი აცხადებს, ისინი ბავშვობის მეგობრები არიან, თუმცა ერთ დღეს აღმოაჩინეს, რომ სხვა სიმპათიები გაუჩნდათ ერთმანეთის მიმართ:

**ნინი ბადურაშვილი:**

— ჩვენ ძალიან დიდი ხანია ვმეგობრობთ, ბავშვობიდან. ერთ დღესაც აღმოვაჩინეთ, რომ ძალიან ვუხდებით ერთმანეთს და სხვა სიმპათიები გაგვიჩნდა ერთმანეთის მიმართ.

**ბახვა ბრეგვაძე:**

— ამას თავიდან არ ვაქცევდით ყურადღებას, მერე ამას ნინი მიხვდა და იაქტიურა. არ შევუწუხებივარ, მაგრამ ინიციატორი იყო ნინი. ერთი-ორჯერ ისეთი მესიჯი მომივიდა, ვერ ვიტყვი, უხერხულია.

**ნინი:**

— არასდროს არ ვარ ხოლმე აქტიური, მაგრამ ამ შემთხვევაში ვიაქტიურე. რატომ, მეც არ ვიცი.

**ბახვა:**

— ამაყი ვარ, ყველასთვის საოცნებო ქალი რომ მიზის გვერდით. ჩვენ ბავშვობიდან გვიყვარს ერთმანეთი. თუ ეს რაღაცაში გადაიზრდება... ვხუმრობთ, რა თქმა უნდა, ეს არ არის სიმართლე.

**ნინი:**



— არ ვიცი, ეს ჭორი საიდან აგორდა, ბავშვობიდან ვმეგობრობთ, იმდენი ფოტო გვაქვს ერთად გადაღებული. ერთხელაც, როცა ჩვენი კიდევ ერთი ფოტო ავტვირთე ფეისბუქზე, დავინახე, რომ არის სტატია „სენსაცია — ნინი ბადურაშვილი თხოვდება!“ რატომ გადაწყვიტეს, ახლა არ ვიცი. ალბათ იმიტომ, რომ ბახვა ახლა „ჩემი ცოლის დაქალებში“ პოპულარულია და გადაწყვიტეს, რომ აქტუალური იქნებოდა. როსტოზეც იყო ჭორები, მაგრამ ასეთი აქტუალური არა.

საერთაშორისო

# ბრიტანეთში კემერონის კონსერვატიულმა პარტიამ გაიმარჯვა



დიდ ბრიტანეთში გამართულ არჩევნებში მოქმედი პრემიერ-მინისტრ დევიდ კემერონის კონსერვატიულმა პარტიამ გაიმარჯვა.

მონაცემების დათვლა თითქმის დასრულებულია და ახლანდელი შედეგებით, 650-ადგილიან თემთა პალატაში კონსერვატორებმა 331 ადგილი მოიპოვეს. დევიდ კემერონმა საკუთარ მომხრეებს წარმატება მიულოცა და პირობა დადო, რომ გამარჯვების შემთხვევაში ქვეყანას გააერთიანებს და თითოეული ბრიტანელის ინტერესებს დაიცავს.

მეორე ადგილზე ლეიბორისტები გავიდნენ, რომლებსაც 232 მანდატი ერგებათ. ლეიბორისტების ლიდერმა, ედ მილიბანდმა არჩევნების დღეს იმედგაცრუება უწოდა და, ექსპერტების აზრით, ის თავის პოსტს დათმობს.

წარმატებას ზეიმობს შოტლანდიის ეროვნული პარტია, რომელმაც შოტლანდიის თითქმის ყველა საარჩევნო ოლქში გაიმარჯვა და თემთა პალატაში უპრეცედენტო წარმომადგენლობა ეყოლება — ის 6 წევრიდან, სულ მცირე, 56-მდე გაიზრდება. გასულ წელს რეფერენდუმზე შოტლანდიის მოსახლეობამ ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენას დაუჭირა მხარი. დამოუკიდებლობის მხარდამჭერი პარტიის ლიდერი ფიქრობს, რომ მისი პარტიის წარმატება მისი პოზიციის მხარდაჭერასაც ნიშნავს.

მხოლოდ 8 ადგილი მოიპოვეს ლიბერალ-დემოკრატებმა. უელსის ნაციონალური პარტია 3 ადგილს დასჯერდა, თითო-თითო ადგილი კი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიასა და მწვანეთა პარტიას ერგოთ.

საპარლამენტო არჩევნების პარალელურად 279 ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი არჩევნებიც ჩატარდა. ლონდონის მოქმედმა მერმა ბორის ჯონსონმა დეპუტატის მანდატი მოიპოვა, თუმცა მერის სავარძლის დატოვებას არ აპირებს და ორი თანამდებობის შეთავსებას გეგმავს.

საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ბრიტანეთის პრემიერმა დევიდ კემერონმა განაცხადა, რომ ქვეყანაში გაიმართება რეფერენდუმი, რომელიც გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირში დარჩენის საკითხს გადაწყვეტს.

ეს განცხადება ბრიტანეთის პრემიერმა დედოფალ ელისაბედ მეორესთან აუდიენციის შემდეგ გააკეთა.

კემერონის განცხადებას უკვე გამოეხმაურა ევროპული საბჭოს პრეზიდენტი დონალდ ტუსკი, რომელიც პირობას დებს, რომ ბრიტანეთის პრემიერის გადარწმუნებას შეეცდება. ტუსკის თქმით, ბრიტანეთი ევროკავშირის ჩამოყალიბებაში, ასევე ევროპის საერთო პრინციპების მხარდაჭერაში, გადამწყვეტ როლს თამაშობს.

— დარწმუნებული ვარ, ევროკავშირის საზღვრებს გარეთ უკეთესი ცხოვრება არ არსებობს. ევროკავშირის გაუმჯობესება როგორც ბრიტანეთისა და კავშირის სხვა წევრების ინტერესებში შედის. — განაცხადა ევროკავშირის უმაღლესი ორგანოს პრეზიდენტმა.

მოამზადა
გერა მამულაშვილმა

სპორტი

# ენდი მარეიმ მადრიდში მასტერსის ტურნირი მოიგო



საჩოგბურთო სეზონი უკვე მეორე თვეა, თიხაზე მიმდინარეობს და უკვე ორი მასტერსის ტურნირიც ჩატარდა ამ საფარზე.

რთული წარმოსადგენია, მაგრამ რაფაელ ნადალმა, რომელიც თიხაზე ბრწყინვალედ თამაშობს, ორივე ტურნირში მარცხი განიცადა, თან თავის უშუალო კონკურენტებთან — ენდი მარეისთან და ნოვაკ ჯოკოვიჩთან.

ნადალი წლევანდელ სეზონს გაცილებით სუსტად ატარებს, ვიდრე მის წინამორბედებს და ბოლო 9 წლის მანძილზე ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც რაფამ თიხაზე მასტერსის ტურნირის მოგება ვერ შეძლო.

ნადალისთვის განსაკუთრებით მტკივნეული მადრიდში განცდილი მარცხი იყო, რადგან ესპანელმა ჩოგბურთელმა ენდი მარეისთან წააგო, რომელიც თიხაზე არცთუ ძლიერია. მადრიდში მასტერსის ტურნირი ყოველწლიურად ტარდება და მისი მოგება ძალიან პრესტიჟულია ნებისმიერი ჩოგბურთელისთვის. ზოგადად ეს ტურნირი არამარტო საჩოგბურთო სამყაროშია პოპულარული. ტრიბუნებზე ხშირად ვხედავთ ხოლმე ცნობილ ადამიანებს, განსაკუთრებით მადრიდის რეალის ფეხბურთელებს, რომლებიც ყოველ წელიწადს ესწრებიან ხოლმე მადრიდის მასტერსის ტურნირს.

რეიტინგის პირველმა ჩოგანმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა ეს ტურნირი გამოტოვა. რა მიზეზით გააკეთა სერბმა ეს, უცნობია, რადგან თავად ჯოკოვიჩს ამაზე არ უსაუბრია. როგორც ჩანს, ნოვაკმა საფრანგეთის ღია პირველობის წინ დასვენება გადაწყვიტა. ასეა თუ ისე, მისი არყოფნით ნადალს უკეთესი შანსი მიეცა, რომ ეს ტურნირი მოეგო, მაგრამ ენდი მარეიმ მას გეგმები წყალში ჩაუყარა.

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი და დიდი სლემის ტურნირების არაერთგზის გამარჯვებული როჯერ ფედერერი ახალგაზრდა ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა იანასი კოკინაკისმა გამოთიშა ასპარეზობას. კოკინაკისი პერსპექტიულ ჩოგბურთელად ითვლება და მისთვის ფედერერის დამარცხება უდიდესი სტიმული იქნება მომავალი გამარჯვებებისთვის. ფედერერმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ავსტრალიელ ჩოგბურთელს დიდი მომავალი აქვს.

როგორც ვახსენეთ ტურნირის მთავარ შეხვედრაში ერთმანეთს რაფაელ ნადალი და ენდი მარეი დაუპირისპირდნენ. რამდენიმე კვირის წინ მარეიმ თავის კარიერაში პირველად მოიგო ტურნირი თიხაზე. ეს მიუნხენში მოხდა. ბრიტანელი ჩოგბურთელი თიხაზე ყოველთვის უფრო ცუდ შედეგებს აჩვენებდა, ვიდრე სხვა კორტებზე, ამიტომ მატჩის წინ ნადალი უპირობო ფავორიტი იყო.

პროგნოზები არ გამართლდა. შეხვედრამ ენდი მარეის სრული უპირატესობით ჩაიარა და მან ნადალი გაანადგურა 6-3, 6-2.

როგორც ჩანს, ასეთ იოლ გამარჯვებას არც თვითონ მარეი ელოდა, რომელიც მატჩის შემდეგ სიხარულს არ მალავდა:

— რაფასთან თიხაზე ასეთი დამაჯერებელი გამარჯვება ჩემთვის ახდენილი ოცნებასავით არის. რამდენიმე წლის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ თიხაზე მას ასე ადვილად დავამარცხებდი. წელს თიხაზე გაცილებით უკეთ ვთამაშობ, ვიდრე ამას ადრე ვაკეთებდი. წინ კიდევ რამდენიმე ტურნირია, რომლების მოგებაც ძალიან მინდა. ვინ იცის, შეიძლება როლან გაროსიც მოვიგო, — განაცხადა ენდი მარეიმ

რაც შეეხება ნადალს, მან აღიარა, რომ ოპტიმალურ ფორმაში არ იმყოფება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის როლან გაროსის მოსაგებად არ იბრძოლებს. ნადალის თქმით, საფრანგეთის ღია პირველობის დაწყებამდე კიდევ რამდენიმე კვირაა და ის შეეცდება, რომ ეს დრო მაქსიმალურად გამოიყენოს ფორმაში ჩასადგომად.

შეგახსენებთ, რომ ესპანელს როლან გაროსი 9-ჯერ აქვს მოგებული, რაც ამ ტურნირის რეკორდული მაჩვენებელია.

ბექა გოგინაშვილი

საზოგადოება

## გამოკითხულთა 24%-ის ოჯახს 400 ლარამდე შემოსავალი აქვს

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, გასულ თვეში 1 600 ლარზე მეტი შემოსავალი გამოკითხულთა 2%-ის ოჯახს ჰქონდა.

გამოკითხულთა 3%-ის ოჯახს — 1 201 ლარიდან 1 600 ლარამდე, 7%-ის ოჯახს 801 ლარიდან 1 200 ლარამდე, 19%-ის ოჯახს 401 ლარიდან 800 ლარამდე, 24%-ის ოჯახს 261 ლარიდან 400 ლარამდე, 19%-ის ოჯახს 151 ლარიდან 260 ლარამდე, 14%-ის ოჯახს 150-ლარამდე შემოსავალი ჰქონდა, ხოლო 2%-ს საერთოდ არ აქვს შემოსავალი.

კვლევის საველე სამუშაოები 27 მარტიდან 19 აპრილის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 4360 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე ჩატარდა. კვლევის ცდომილების ზღვარი — 2.3 პროცენტს შეადგენს.

ნიუსპრესი

## გამოკითხული სტუდენტების 7%-ს აბორტი 14 წლის ასაკში აქვს გაკეთებული

„დემოგრაფიული ფონდის“ ახალგაზრდული კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა 7%-ს, 14 წლის ასაკში პირველი აბორტი აქვს გაკეთებული. „დემოგრაფიული ფონდის“ ხელმძღვანელის თამარ ჩიბურდანიძის განცხადებით, ეს ძალიან საგანგაშო მონაცემებია.

— ახალგაზრდების დიდი ნაწილი. 14-15 წლის ასაკში იკეთებს პირველ აბორტს. ეს ძალიან საგანგაშო მონაცემებია. ამ პროექტის განხორციელების ყველაზე მთავარი მიზანია ახალგაზრდების ინფორმირება, თუ რა მოსდევს პირველ აბორტს ადრეულ ასაკში, რა მოსდევს ადრეულ ქორწინებას, რაც საერთოდ, მძიმე დემოგრაფიულ სურათს განაპირობებს, — განაცხადა თამარ ჩიბურდანიძემ. კვლევა 2014 წელს ჩატარდა. შემთხვევითი შერჩევის პორნციპით 500 სტუდენტი გამოიკითხა.

ნიუსპრესი

## რა ფერის ავტომობილებია პოპულარული საქართველოში

ქვეყანაში ავტომობილების რაოდენობამ 1 მილიონს გადააჭარბა. ბიპიენი დაინტერესდა, რა ფირმის ავტომობილებს ყიდულობენ ყველაზე ხშირად ქართველი მძღოლები. საქართველოში ავტოპარკის 60,9%-ს მსუბუქი ავტომანქანები შეადგენს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი რუხივერცხლისფერი (26%) და თეთრი (16%) ფერისაა. ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი (90,9%) 2004 წლამდეა წარმოებული, თუმცა იზრდება 3 წლამდე ასაკის ავტო-მოტო ტრანსპორტის რაოდენობა.

ავტოპარკის შემადგენლობაში 60,9%-ს იკავებს მსუბუქი ავტომობილი, 18,9%-ს მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილი, 9,1%-ს სატვირთო, 5,6%-ს სამგზავრო, 3,5%-ს სასოფლო-სამეურნეო და სპეცტექნიკა, 1,6%-ს მისაბმელიანი და 0,5%-ს მოტოტრანსპორტი. ფერების მიხედვით, მსუბუქ ავტომობილებში ლიდერობს რუხივერცხლისფერი, მას მოჰყვება თეთრი ფერის ავტომობილები, ლურჯი, შავი, მწვანე, წითელი, ყავისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი, იისფერი, მეწამული, ვარდისფერი.

ბიპიენი

## fcnhjgjhjuyjpb 12 მაისისთვის

**დბჰ'ბ** — დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **რეჰჯ** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ნ.ეგბ-,ბ** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **რბპხ[ბ,ბ** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ქჯჯბ** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მფქოეჯბ** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **სფსოჯჯბ** — თქვენი საქმე წინ წავა, მთავარია არ იზარმაცოთ. **ქჯბფყრფჯბ** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ჰოდბჯლჯსფყბ** — ახალი პროექტი გაამართლებს, არ გამოეთიშოთ საქმეს. **ს[ბს ჰმფ** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ვიტამინები. **ჰბჰოეჯბ** — მეგობრებისგან ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **სბდჰბ,ბ** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

უბცეჰდტ,ს ,ტლყბტჰ ღქტს=

## hჰჯცęჯჰლბ ,



**შვეულად:** 1. შეუსაბამობა, უაზრობა, სისულელე; 2. მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; 3. ქალის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 4. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 5. უზბეკეთის დედაქალაქი; 7. ღვინის მწარმოებელი უმსხვილესი ამერიკული ფირმა; 11. შინამრეწველური წესით დამზადებული აბრეშუმის ქსოვილი; 13. ინგლისელი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში; 15. აღმოსავლური მუსიკალური საკრავების დამკვრელთა პატარა ჯგუფი; 16. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 18. ძლიერფეთქებადი ჭურვი; 19. პოეტური ქმნილება.

**თარაზულად:** 6. სახელმწიფო ევროპაში; 8. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 9. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 10. რაიმეს შეცვლა, გარდაქმნა; 12. ფრანგი მწერალი; 14. პოპულარული მაგიდის სათამაშო; 17. მიწაში ბინადარი შხამიანი ობობა; 20. კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 21. საჭადრაკო ამოცანა; 22. სხვადასხვა კლასის სამგზავრო ვაგონების შემადგენელი მატარებელი; 23. რაიონული ცენტრი გურიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

**ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმდტ.ყტ,ეჯბ hჰჯცęჯჰლტ,ბც გფცეĮტ,ბ5**

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კლიმატი; 5. ბალბა; 7. ვაქცინა; 9. რევიზია; 10. ინდაური; 13. ნაპრალი; 14. ვარანი; 15. მინა; 19. დარიალი; 20. ვალიდოლი; 21. კარდინალი; 22. ვასალი.

**შვეულად:** 1. კვირტი; 2. მარილი; 3. კასანდრა; 4. ანანკე; 6. ბარიტონი; 8. პიტონი; 11. ბაზილიკა; 12. ბიგამია; 16. პასტა; 17. ვარია; 18. კარტი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. მისის; 2. მა; 3. სარაცენია; 4. ჟერარ; 5. რა; 6. იმპერიალი; 7. მაცა; 8. გარაჟი; 9. სე; 10. საჟენი; 11. სარა; 12. აპეური; 13. მის; 14. იასაული; 15. მირგოროდი; 16. პირანია; 17. გრეკო; 18. გეო; 19. ილი; 20. იდალგო; 21. იან; 22. არტურ; 23. ფლორა; 24. ტამანგო; 25. ბანი; 26. საია; 27. ტროა; 28. ან; 29. დო; 30. ნანკა; 31. ნიასა; 32. ონდატრა; 33. კომონერი.

**სურათებზე:** სარა ჯესიკა პარკერი; კლაუდიო ლოპესი.

# რომელი პროდუქტი უფრო კალორიულია?!

**დიეტის დროს ხშირად მიმართავენ დანაწევრებულ კვებას, რომ კალორიების გარკვეულ რაოდენობას არ გადააჭარბონ და წონაში არ მოიმატონ.**

გთავაზობთ 100 გრამ პროდუქტში ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების რაოდენობას და მათ კალორაჟს.

### ხორცი, თევზი, კვერცხი:

1. ძროხის ხორცი, ცხიმიანი — 18 (ცილა); 11 (ცხიმი); — 190 კალორია;

2. ძროხის ხორცი ნაკლებცხიმიანი — 24 (ცილა); 11 (ცხიმი); — 140 კალორია;

3. ღორის ხორცი ცხიმიანი — 15 (ცილა); 47 (ცხიმი); 0,7 (ნახშირწყალი); — 480 კალორია;

4. ღორის ხორცი ნაკლებცხიმიანი — 70 (ცილა); 22 (ცხიმი); — 370 კალორია;

5. ცხვრის ხორცი ცხიმიანი — 17 (ცილა); 17 (ცხიმი); — 170 კალორია;

6. ქათმის ხორცი ცხიმიანი — 20 (ცილა); 13 (ცხიმი); — 205 კალორია;

7. ქათმის ხორცი ნაკლებცხიმიანი — 22 (ცილა); 8 (ცხიმი); — 160 კალორია;

8. ინდაურის ხორცი — 21 (ცილა); 15 (ცხიმი); — 230 კალორია;

9. ქათმის კვერცხი — 13 (ცილა); 11,5 (ცხიმი); 0.7 (ნახშირწყალი); — 157 კალორია;

10. თართი — 16 (ცილა); 11 (ცხიმი); — 170 კალორია;

11. ზუთხი — 17 (ცილა); 12 (ცხიმი); — 180 კალორია;

12. ლოქო — 17 (ცილა); 5 (ცხიმი); — 120 კალორია;

13. ხიზილალა (წითელი) — 32 (ცილა); 14 (ცხიმი); — 260 კალორია;

14. ძეხვი შებოლილი — 25 (ცილა); 42 (ცხიმი); — 445 კალორია;

15. სოსისი — 12 (ცილა); 25 (ცხიმი); — 277 კალორია.

### რძის პროდუქტები:

1. ძროხის რძე — 3 (ცილა); 4 (ცხიმი); 5 (ნახშირწყალი); — 70 კალორია;

2. „მდნარი" ყველი — 21 (ცილა); 20 (ცხიმი); 3 (ნახშირწყალი); — 280 კალორია;

3. ცხვრის ყველი — 15 (ცილა); 25 (ცხიმი); — 300 კალორია;

4. ნაყინი — 3 (ცილა); 4 (ცხიმი); 22 (ნახშირწყალი); — 140 კალორია;

5. ხაჭო უცხიმო — 18 (ცილა); 1 (ცხიმი); 2 (ნახშირწყალი); — 86 კალორია;

6. კარაქი — 0,5 (ცილა); 84 (ცხიმი); 0,9 (ნახშირწყალი); — 750 კალორია;

7. არაჟანი — 3 (ცილა); 30 (ცხიმი); 3 (ნახშირწყალი); — 300 კალორია;

8. ერბო — 100 (ცილა) — 900 კალორია;



9. მარგარინი — 1 (ცილა); 82 (ცხიმი); 0,4 (ნახშირწყალი); — 770 კალორია.

### ბურღულეული:

1. მაკარონი — 11 (ცილა); 1 (ცხიმი); 74 (ნახშირწყალი); — 360 კალორია;

2. ღომი — 12 (ცილა); 3 (ცხიმი); 70 (ნახშირწყალი); — 360 კალორია;

3. ბრინჯი — 8 (ცილა); 1 (ცხიმი); 76 (ნახშირწყალი); — 350 კალორია;

4. შაქარი — 99.9 (ნახშირწყალი); — 410 კალორია.

5. თაფლი — 0,4 (ცილა); 81,3 (ნახშირწყალი) — 335 კალორია.

6. შოკოლადი — 5,1 (ცილა); 33,1 (ცხიმი); 58.9 (ნახშირწყალი); — 570 კალორია.

### ბოსტნეული, ხილი:

1. კარტოფილი — 2 (ცილა); 21 (ნახშირწყალი); — 85 კალორია;

2. კომბოსტო — 2 (ცილა); 5 (ნახშირწყალი); — 30 კალორია;

3. ლობიო მწვანე — 4 (ცილა); 4,3 (ნახშირწყალი); — 35 კალორია;

4. ლობიო ხმელი — 23 (ცილა); 2 (ცხიმი); 54 (ნახშირწყალი); — 335 კალორია;

5. გოგრა — 1 (ცილა); 6 (ნახშირწყალი); — 30 კალორია;

6. კიტრი — 1 (ცილა); 6 (ნახშირწყალი); — 15 კალორია;

7. პომიდორი — 0,6 (ცილა); 4 (ნახშირწყალი); — 20 კალორია;

8. ჭარხალი — 1 (ცილა); 11 (ნახშირწყალი); — 50 კალორია;

9. სტაფილო — 2 (ცილა); 8 (ნახშირწყალი); — 40 კალორია;

10. საზამთრო — 0,5 (ცილა); 9 (ნახშირწყალი); — 40 კალორია;

11. ნესვი — 1 (ცილა); 9 (ნახშირწყალი); — 40 კალორია;

12. ნიგოზი — 18 (ცილა); 9 (ნახშირწყალი); 59 (ცხიმი); — 660 კალორია;

13. თხილი — 18 (ცილა); 62 (ცხიმი); 9.3 (ნახშირწყალი); — 688 კალორია;

14. ბადრიჯანი — 1 (ცილა); 4,5 (ნახშირწყალი); — 23 კალორია;

15. ვაშლი — 0,4 (ცილა); 12 (ნახშირწყალი) — 50 კალორია;

16. ატამი — 0,9 (ცილა); 10 (ნახშირწყალი); — 50 კალორია;

17. მსხალი — 0,4 (ცილა); 11 (ნახშირწყალი); — 50 კალორია;

18. ყურძენი — 0,4 (ცილა); 17 (ნახშირწყალი) — 75 კალორია;

19. ქიშმიში — 0,4 (ცილა); 71 (ნახშირწყალი) — 300 კალორია;

20. ფორთოხალი — 0,9 (ცილა); 8 (ნახშირწყალი) — 40 კალორია;

21. მანდარინი — 0,8 (ცილა); 9 (ნახშირწყალი) — 40 კალორია;

22. მაყვალი — 2 (ცილა); 5 (ნახშირწყალი) — 40 კალორია;

23. ლიმონი — 0,9 (ცილა); 4 (ნახშირწყალი) — 35 კალორია;

24. ქლიავი— 0,8 (ცილა); 10 (ნახშირწყალი); — 50 კალორია;

25. შინდი — 1 (ცილა); 10 (ნახშირწყალი); — 50 კალორია;

26. ალუბალი — 0,5 (ცილა); 11 (ნახშირწყალი); — 50 კალორია;

27. გარგარი — 0,9 (ცილა); 11 (ნახშირწყალი); — 50 კალორია;

28. ბალი — 1,1 (ცილა); 12,3 (ნახშირწყალი); — 58 კალორია;

29. კომში — 0,6 (ცილა); 8,9 (ნახშირწყალი); — 43 კალორია;

30. ლეღვი — 1,35 (ცილა); 17,51 (ნახშირწყალი); — 75 კალორია;

31. მარწყვი — 1,2 (ცილა); 7 (ნახშირწყალი); — 38 კალორია;

32. ბროწეული — 1,2 (ცილა); 1,1 (ცხიმი); 16,51 (ნახშირწყალი); — 75 კალორია;

33. ალუჩა — 0,2 (ცილა); 7,4 (ნახშირწყალი); — 41 კალორია;

34. ნუში — 21 (ცილა); 55 (ცხიმი); 100 (ნახშირწყალი); — 639 კალორია;

35. წაბლი — 4,5 (ცილა); 4 (ცხიმი); 40.4 (ნახშირწყალი); — 221 კალორია;

36. მოცვი — 1,1 (ცილა); 8,6 (ნახშირწყალი); — 45 კალორია.



### ჰემოგლობინის ასაწევად

1. 200 გრამი ნიგოზი; 2. 200 გრამი ქიშმიში; 3. 200 გრამი გარგარის ჩირი; 4. 200 გრამი თაფლი და 2 ცალი ლიმონი კანიანად.

გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. აურიეთ კარგად. მიიღეთ ჩაის კოვზით დღეში 3 ჯერ ჭამის წინ.

1. 1 ჩაის ჭიქა ბროწეულის წვენი; 1 ჩაის ჭიქა თაფლი; 1 ჩაის ჭიქა ლიმნის წვენი; 1 ჩაის ჭიქა ასკილის ნაყენი.

მიიღეთ სურვილის მიხედვით.

3. 100 გრამი ბროწეულის წვენი;

100 გრამი ლიმნის წვენი; 100 გრამი ვაშლის წვენი; 100 გრამი ჭარხლის წვენი; 100 გრამი სტაფილოს წვენი; 50 გრამი თაფლი.

ჰემოგლობინის ასაწევად კარგია: ალუბალი, შავი ქლიავი, ვაშლი „ანტონოვკა", მაჟალოს ნაყენი, შავი მოცხარი, ქაცვი, ბროწეული, მოცვი, მარწყვი, შავი ყურძენი, ასკილი, ჭინჭარი.

### პროთრომბინის დასაწევად

1. ზაფრანას ერთ ყვავილს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, შეფუთეთ. რამდენიმე საათის შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ მთელი ღამის განმავლობაში. ასე გააკეთეთ 5 დღე.

2. 10 ცალი კომშის ფოთოლი და 10 ცალი ალუბლის ფოთოლი მოხარშეთ 2 ლიტრ წყალში. დააყენეთ ნახევარზე. მიიღეთ დღეში 3 ჯერ 100 გრამი ჭამის წინ.

3. ვენების გაგანიერების დროს 1 სუფრის კოვზ თხილის ხმელ ფოთლებს დაასხით 200 გრამი მდუღარე წყალი. მიიღეთ ნახევარი ჭიქა დღეში 4 ჯერ.

4. ყოველ დილით უზმოზე მიიღეთ 1 ჩაის ჭიქა წყალში გახსნილი 1 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი და 1 ჩაის კოვზი თაფლი.

5. ზაფხულში მიირთვით ლეღვი. ზამთარში კი ლეღვის ჩირს დაასხით მდუღარე და წყლის მაგივრად მიირთვით.

6. ლიმონი დაჭერით რგოლებად, ფენა ფენა მოაყარეთ შაქარი და მიირთვით სურვილის მიხედვით.

# კენჭოვანი დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

### ნაღვლის ბუშტის გასაწმენდად

1 სუფრის კოვზ სიმინდის ფოჩს 1 ჩაის ჭიქა მდუღარე დაასხით, 1 საათი დააყოვნეთ და გაფილტრეთ. ყოველდღიურად, 7 დღის განმავლობაში, 3 საათში ერთხელ 1 სუფრის კოვზი დალიეთ. თუ ნაღვლის ბუშტის ტკივილები გაწუხებდათ, ნაყენის მიღების შემდეგ კი შვება იგრძენით, პროცედურა ერთი კვირის შემდეგ გაიმეორეთ.

### სიყვითლე

— დედოფლისთითა, სამფერი ია და ორკბილა, თითოეული 10 10 გრამის ოდენობით აიღოთ და დავასხათ 1 ლიტრი წყალი, ვადუღოთ 5-7 წუთი. მოცემული რაოდენობა 1 დღე ღამის დოზაა.

— 2 ჩაის კოვზ წვრილად დაჭრილ თავშავას დაასხით 2 ჭიქა (400 გრამი) მდუღარე წყალი. მოცემული ნაყენი დღე ღამის დოზაა.

გაფრთხილება: თავშავას წყლიანი ნაყენის გამოყენება მენსტრუალური ანომალიების დროს აძლიერებს საშვილოსნოდან სისხლდენას და იწვევს გართულებებს.

— ერთ სუფრის კოვზ ხმელ, წვრილად დაჭრილ კაკლის ფოთოლს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. მოცემული ნაყენი დღე ღამის დოზაა.

— მიიღეთ კოწახურის ფოთლის ნაყენი 40 გრადუსიან სპირტზე 1:10 ზე შეფარდებით (1 ნაწილი წვრილად დაჭრილი ფოთოლი, 10 ნაწილი სპირტი) 25-30 წვეთი დღეში სამჯერ 2 3 კვირის განმავლობაში.

ან: — ნახევარ ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ კოწახურის ქერქს ან ფესვებს ასხამენ ერთ ჭიქა მდუღარე წყალს. საჭიროების შემთხვევაში დღეში 2 ჭიქა გამონაცემს სვამენ.

— აიღეთ კულმუხოს ფესურა 20 გრამის ოდენობით. დაასხით 200 გრამი ადუღებული წყალი. მოცემული გამონაცემი დღე ღამის დოზაა.

— აიღეთ მინდვრის ნემსას მიწისზედა ნაწილები 20 გრამის ოდენობით. დაასხით 200 გრამი წყალი. მოცემული გამონაცემი დღე ღამის დოზაა.

— 40 გრამ ნეგოს ყვავილებს დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი. მოცემული გამონაცემი მიიღეთ მთელი დღე ღამის განმავლობაში. იგი კარგად მოქმედებს მთლიანად ღვიძლზე. განსაკუთრებით ცეროზის და ჭვალების დროს. აგრეთვე ნაღველსადინარებსა და მთლიანად ნაღვლის ბუშტზე.

— იღებენ 1 ჭიქა ადუღებულ ცხელ რძეს, 1 ჭიქა ცხელ წყალს და მასში ასხამენ სვიით ჩვილი ყლორტების ან ტოტებისგან გამოწურულ 2 სუფრის კოვზ წვენს. ამ ნარევს ნაწილ ნაწილ სვამენ ერთი დღის განმავლობაში.

ზამთარში ასევე იქცევიან, მაგრამ სვიის წვენის ნაცვლად 2 სუფრის კოვზ წინასწარ ძალიან წვრილად დაქუცმაცებულ სვიის ნაყოფებს იღებენ და მთელი ღამე თბილი წყლისა და რძის ნარევში ალბობენ თბილ ადგილზე დადგმით. მას თბილ მდგომარეობაში სვამენ ერთი დღის განმავლობაში.

ან: — ერთ ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ სვიის ნაყოფებს ასხამენ ერთ ჭიქა მდუღარე წყალს (ერთი დღის დოზა). სვამენ ყლუპ ყლუპად, უკეთესია საღამოთი მიღება.

— 2 ჩაის კოვზ წვრილად დაჭრილ ტყის ჩიტისთვალას დაასხით ერთი ჭიქა ცივი წყალი. დადგით 8 საათი. ამის შემდეგ 1 დღის განმავლობაში მიიღეთ რამდენიმე დალევაზე.

— 2 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ფარსმანდუკის ფოთლებისა და ყვავილების ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. 1 საათის შემდეგ გაწურეთ და 1 დღის განმავლობაში სვით რამდენიმე ნაწილად.

— აიღეთ მუხის ქერქი, თავშავა, კოთხოჯი, ფარსმანდუკის ყვავილები 20 20 გრამის ოდენობით, ფიჭვის წვრილი ტოტები წიწვებით, ორკბილა, სამფერი ია 40-40 გრამის ოდენობით. თითო კილოგრამი პურის ქატო, ჭვავის გაღვივებული მარცვალი და შავი მოცხარის ფოთლები. ყოველივე ერთად მოათავსეთ ქსოვილის პარკში და ხარშეთ წყალში ჩაშვებით 30 წუთის განმავლობაში ნელი დუღილით. გაწურეთ და გაახავეთ წყლის აბაზანაში (აბაზანის გამოყენება შეიძლება 2 დღის განმავლობაში). პარკის შიგთავსი გადაყარეთ.

— 3 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ იფნის ფოთლებს ასხამენ 2 ჭიქა მდუღარე წყალს და 10 წუთს დგამენ (1 დღის დოზა) იფნის ქერქსაც ასეთივე დოზირებით აყენებენ.

— 3-5 გრამი ხარისძირიქას ბალახი დააყენეთ 1 ჭიქა წყალზე (მთელი დღის დოზა).

ან: — აიღეთ თანაბარი რაოდენობით ხარისძირიქას ბალახი და ნეგოს ყვავილები. 1 სუფრის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. მოცემული გამონაცემი დღე ღამის დოზაა.

— აიღეთ 1 ჩაის კოვზი ხებალახას ყლორტები. გააშრეთ და კარგად დააქუცმაცეთ. მიღებული ნედლეულის 1 ჩაის კოვზს დაასხით 1 ჭიქა (200 გრამი) წყალი. მიიღეთ მთელი დღის განმავლობაში. კურსი 1 კვირაა. უფრო დიდხანს და მეტი დოზებით მიღება სახიფათოა. ხებალახა შხამიანია და ექიმის დანიშნულების გარეშე მისი მიღება დაუშვებელია.

— 20 გრამი ხეშავის ნაყოფი დააყენეთ ოთახის ტემპერატურის 200 გრამ წყალზე. მიღებული ნაყენის 1 სუფრის კოვზს იღებენ 3-4 ჯერ დღეში.

— აიღეთ 15 გრამი გამხმარი სიმინდის თმა, მოათავსეთ ჭურჭელში, დაასხით 1 ჭიქა წყალი და ხარშეთ ნელ ცეცხლზე 10 წუთი. შემდეგ ნახარში გაწურეთ. დალიეთ დილის ჩაის ნაცვლად 1 ჯერზე. სვით მდგომარეობის გაუმჯობესებამდე.

— აიღეთ უმარილო ღორის ქონი 90 გრამი, დაჭერით ნაჭრებად, მოათავსეთ ჭურჭელში და ნელ ცეცხლზე გამოადნეთ. შემდეგ გამოდნობილი ნაჭრები მოაშორეთ, ქონი გააციეთ. მიიღეთ ჭამის



დროს ბოსტნეულთან ერთად.

— მდუღარე წყლიან ჭურჭელში ჩაყარეთ 50 გრამი არაქისი, დაუმატეთ 50 გრამი უნაბის ნედლი ნაყოფი და 50 გრამი შაქარი. ყველაფერი ეს ხარშეთ ნელ ცეცხლზე 30-40 წუთი, შემდეგ გააციეთ. მიიღეთ დღეში ერთხელ ძილის წინ. არაქისი და უნაბი შეჭამეთ. დააყოლეთ ნახარში. მკურნალობის კურსი 1 თვეა.

— 3 დღის განმავლობაში ყოველ დილით უზმოზე ავადმყოფმა უნდა მიიღოს 1 ცალ ლიმნის წვენში გახსნილი 1 ჩაის კოვზი სოდა.

— მატიტელა მოხარშეთ 5 წუთის განმავლობაში და მიიღეთ დღეში სამჯერ.

— 20 გრამი ბირკავას ნაყოფი მოხარშეთ 1 ჩაის ჭიქა წყალში. მიიღეთ 12 ჭიქა დღეში 3-4 ჯერ. მოცემული ნაყენი ციროზის დროსაც ეფექტურია.

აიღეთ 100 გრამიანი ჭიქა, გაავსეთ ნატურალური თაფლით. შემდეგ გახეხეთ სუფთა ქარვა, რომ გამოვიდეს 1 ჩაის კოვზი. ეს ქარვა აურიეთ თაფლში. მიიღეთ ჭამის წინ დღეში 4 ჯერ ჩაის კოვზით.

მოცემული დოზა საკმარისია იმათთვის, ვისაც ბოტკინი 10 დღის დაწყებული აქვს. იგი ეფექტური საშუალებაა ჩიყვის დროსაც.

## TV პროგრამა

**სამშაბათი 12 მაისი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00** "მოამბე" **10.15, 02.10** "პირადი ექიმი" **11.00, 03.00** "სამოთხის ვაშლები" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.20** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ადვოკატები"** **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. განმეორებითი **1/2** ფინალი: შესვენებისას: ვიქტორინა **00.30** მხ/ფ **"სულიერი სამზარეულო"**

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **14.00, 16.00** ტ/სერ. **"ოჯახური გამოძიება"** **20.00** "მოამბე" (5 ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.45** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50,** ქრონიკა **10.05** სერ. **"კარმა"** **11.20** სერ. **"ივნისის ღამე"** **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **18.45, 19.03** სერ. **"შურისძიება"** **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** ერთი ერთში **00.00** სერ. **"ვალენტინო" 1** სერ. **01.10** მხ/ფ **"ანრი მეოთხე"** (ჟ.ბუასელიე)

**06.00, 15.55** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** მუს.პაუზა **06.20** სპექტაკლი **"დარისპანის გასაჭირი"** **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** დოკ. ფილმი "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰ ქვია" **10.55** დოკ. ფილმი "დიდი ანდრიას ნაკვალევზე" **11.30** ამბიონი **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ **"როცა აყვავდა ნუში"** **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** კონცერტი **16.15** სათავეებთან "ერეკლე II" **17.00** "ერთსულოვნების" სალონი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** ტელე.პროექტი **"განათლება გამოგარჩევს"** **19.50** მუს.პაუზა **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** დოკ. ფილმი "წმ. ანდრია პირველწოდებულის შემოსვლა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ჩვენი ფონდი **00.30** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"ოლივერ ტვისტი"** **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **12.30, 18.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.35** გადაცემა "NX-სპიკერი" **16.05, 17.05 სერიალი "თანაგრძნობა"** **18.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **19.00 სერიალი "ქორწინება ანდერძით"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.20** გადაცემა "iZOS-ანალიზი" **22.50 სერიალი "დიდებული საუკუნე"**

გპჯუპფვტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტჟნჯ
ვბყაჯპფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 მაისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.3338 | ევრო — 2.6178 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6004 | 100 რუსული რუბლი — 4.5895 |

## ამინდის პროგნოზი 12 მაისისთვის




# ნინა სუბლატი ავსტრიაში გაემგზავრა

ეკა ირემაშვილი

**„ევროვიზია 2015"-ზე საქართველოს წარმომადგენელი ნინა სუბლატი ავსტრიაში ქართულ დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა.**

სამთვიანი წინამოსამზადებელი სამუშაო პროცესი დასრულდა და ახლა „საქართველოს ვარსკვლავის" გამარჯვებული ევროპის წინაშე წარსადგენად ემზადება. ნინას იმიჯი უკვე მორგებული აქვს და საჩუქრებიც შერჩეული.



მას ევროვიზიის კონკურსზე სიმბოლური საჩუქრები და აქსესუარები მიაქვს. დიზაინერმა ეკა დოლიძემ დაამზადა ნინა სუბლატის თოჯინები, რომელზეც აქცენტი თვალებზე გაკეთდა. თოჯინას ნინასავით ლურჯი თვალები აქვს.

ნინას აქტიური ფან კლუბი და პრესა ჰყავს, ტარდება გამოკითხვები და წელს გერმანიის საზოგადოებრივი მაუწყებლის გამოკითხვით საქართველოს წარმომადგენელი მეორე ადგილზეა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მთავარი იმ ქართველების ესემესები და მხარდაჭერაა, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ.

ნინა სუბლატი ლიდერია საკონკურსო სიმღერაზე შექმნილი კლიპითაც. „ევროვიზიის" ოფიციალურ იუთუბის არხზე კლიპის ნახვამ მილიონს გადააჭარბა და უამრავი კომენტარი დააგროვა. როგორც მოსალოდნელი იყო, კომენტარების ძირითადი ნაწილი უცხოელებს ეკუთვნით და ისინი ქართველ კონკურსანტს შოუს ფავორიტად ასახელებენ.

წელს ევროვიზია ავსტრიის ქალაქ ვენაში მე-60 გაიმართება. ევროვიზია 2015-ის სცენა და დარბაზი უკვე მზადაა, უმასპინძლოს 40 ქვეყნის დელეგაციებს და ფესტივალის გულშემატკივრებს მთელი მსოფლიოდან.

ევროვიზიის ნახევარფინალები 19 და 21 მაისს ჩატარდება, ფინალი კი — 23 მაისს. ნინა სუბლატი ავსტრიაში ორ რეპეტიციას გაივლის და ჟურნალისტებსაც შეხვდება. ქართველი მომღერალი 19 მაისს ბოლო ნომრად იმღერებს და ევროვიზიის პირველ ნახევარფინალს დახურავს.

# მებო ნუცუბიძემ უკრაინული „ვოისის" ნოკაუტის მოიგო

ქართველი მომღერალი მებო ნუცუბიძე კვლავაც აგრძელებს წარმატებით გამოსვლას უკრაინულ „ვოისში". ბრმა ქასთინგისა და რინგის შემდეგ, ნოკაუტების ტური დადგა, სადაც ქართველი კონკურსანტის მოწინააღმდეგე მისი მწვრთნელის სიატოსლავ ვაკარჩუკის გადაწყვეტილებით, ანდრეი პანტიუხი გახდა.

მებო ნუცუბიძემ ნოკაუტების ტურიც მოიგო და ლაივკონცერტებში მონაწილეობის უფლება ღირსეულად მოიპოვა.

ეკა ირემაშვილი

# მალე, მალე, მალე!

## „ახალ თაობასთან" ერთად

## საქართველოს მეფეთა ისტორია

**ყველა მეფის ისტორია ერთ წიგნში**




# ბარსელონა ბერლინის საგზურის გაფორმებას მიუნხენში აპირებს

დღეს ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი ნახევარფინალური მატჩების პირველი დღეა. მატჩი, რომელიც „მიუნხენ არენაზე" ჩატარდება, თითქოს უმოტივაციოა, მაგრამ ჯერ წინ 90 წუთია, რომელსაც ბევრი რამის შეცვლა შეუძლია.



**ბაიერნი — ბარსელონა**

(პირველი მატჩი 0:3)

2012-13 წლების გათამაშების ნახევარფინალში „ბაიერნმა" ორი მატჩის ჯამში კითხვის ნიშნების გარეშე, 7:0 მოუგო „ბარსელონას". ახლა იგივეს გაკეთების შანსი კატალონიელებს ეძლევათ. საამისოდ პირველი ნაბიჯი გადადგმულია. იმის გათვალისწინებით, თუ რა ფორმაში იმყოფება ახლა „ბარსელონა", გამორიცხული არაფერია.

თუმცა, ვერც ბავარიულ კლუბს დავაკნინებთ. ვერ ვიტყვით, რომ გერმანელებს ბრძოლა არ შეუძლიათ, მაგრამ პირველი მატჩის შემდეგ ბერლინის საგზურის მოპოვება რთული იქნება.

კატალონიურ-ბავარიული გრანდები ერთმანეთს მეოთხედფინალშიც შეხვედრიან. ეს მოხდა 2009 წელს — მაშინ გამარჯვებული „ბარსელონა" გამოვიდა (4:0; 1:1).

ჩემპიონთა ლიგის 4-გზის გამარჯვებული „ბარსელონა" შეეცდება ფინალში მერვედ გავიდეს. საამისოდ პირველი ნაბიჯი საშინაო არენაზე უკვე გადადგეს, სადაც 2013 წლის შემდეგ არ წაუგიათ.

გერმანულ კლუბებთან საერთო სტატისტიკა კი კატალონიელთათვის ასე გამოიყურება: 20 მოგება, 1 ფრე, 7 წაგება.

გერმანულ კლუბებთან „ბარსელონას" 18-ჯერ მოუწია ორმატჩიან დუელში გამარჯვებულის გამოვლენა და ეს 13-ჯერ თავის სასარგებლოდ მოახერხა.

„ბარსელონამ" 14 ნახევარფინალური დაპირისპირებიდან 6 მოიგო, ხოლო ერთხელ ფინალში, როგორც ჯგუფის გამარჯვებული, ისე გავიდა.

თასის 5-გზის მფლობელი „ბაიერნი" კი მე-11 ფინალს უმიზნებს, მაგრამ მისი გასწორება იქნება საჭირო. გასულ სეზონში ამავე ეტაპზე გერმანული კლუბი „რეალთან" დამარცხდა. საერთოდ კი, ორმატჩიანი დუელები ესპანურ გუნდებთან უჭირს — 16 ასეთი შემთხვევისას ბავარიელებმა 9-ში იმარჯვეს და 7 დათმეს.

არც ესპანურ გუნდებთან სტატისტიკური მაჩვენებელი დაამშვიდებს მათ გულშემატკივართ — 6 მოგება, 5 ფრე და 12 წაგება.

„ბაიერნის" საპასუხო მატჩში ტრავმის გამო დავიდ ალაბა, ჰოლდერ ბადშტურბერი, ფრანკ რიბერი და არიენ რობენი ვერ დაეხმარებიან. კატალონიელები კი, ოპტიმალური შემადგენლობით ჩავიდნენ ბავარიაში.

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**ბაიერნი: ნოიერი, ლამი, დანტე, რაფინია, ბოატენგი, ალონსო, ალკანტარა, კროოსი, შვაინშტაიგერი, გიოტცე, მიულერი.**

**ბარსელონა: ტერ შტეგენი, ალბა, პიკე, მასკერანო, ალვეში, ბუსკეტსი, რაკიტიჩი, ინიესტა, სუარესი, ნეიმარი, მესი.**

**მატჩს ინგლისელები განსჯიან: მარკ კლატენბურგი (მთავარი), საიმონ ბეკი, ჯეკ კოლინი (თანამსაჯები), ენტონი ტეილორი, ანდრე მარინერი (დამხმარეები), სტიუარტ ბერტი (მეოთხე).**

მ. ქ.

# იუმორი



***

კაცი ტაქსის გააჩერებს და სიტყვის უთქმელად ჩაჯდება. მძღოლი ეკითხება:

— სად მიდიხართ?

— ახლა ამას ჩააბარე ანგარიში!..

გვიან ღამით ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

— შენი ქმარი მოვიდა სახლში?

— არა და მაგი ჩავდე მიწაში! და შენი?

— მოვიდა, მარა ისეთი სანახავია, რომ შენსას მიუწვება გვერდში.

***

კაცს ცოლმა ქალთან შეუსწრო და ატეხა ერთი ამბავი:

— შე სასიკვდილე, რაია ეს ა, ვისში გამცვალე, რას გავს!

— აუ, შენი მოსაწონი ხომ ვერ ვნახე ვერავინ...

***

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

— როგორ ხარ?

— ჯონჯოლივით!

— ეგ როგორ?

— როგორ და თუ სუფრაზე ხარ, კაია და თუ არადა, არავის გაახსენდები...

***

სტუმრად ჩასული თბილისელი, მეორე დილით ნაბახუსევზე მასპინძელმა გასაგრილებლად მდინარეზე წაიყვანა. მასპინძელი წყალში ჩავიდა და სტუმარს ეპატიჟება:

— ჩამოდი წყალში, გესიამოვნება.

— ვერ ჩამოვალ, საცვალი წინ გარღვეული მაქვს და უხერხულია.

— შენც ხელი აიფარე და ისე ჩამოდი, — არ ეშვება მასპინძელი.

— ბოდიში, მაგრამ უკანაც გარღვეული მაქვს.

— აბა, რეზინას აკვლევინებ თავს???

***

კაცი გვიან ღამით საყვარელთან მივიდა. ქალი ლოგინში ჩაწვა და კაცს ეკითხება:

— შენ არ წვები?

— არა.

— რატომ?

— ავტობუსში საფულე მომპარეს.

— რა, საფულეში გედო?

***

კაცი ცოლს ეყრება. მოსამართლე ეკითხება:

— რა მიზეზით ეყრებით?

— არ ვუყვარვარ და იმიტომ.

— რა იცით, რომ არ უყვარხართ?

— რომ ვყვარებოდი, მე კი არ გამომყვებოდა ცოლად, სხვას გაჰყვებოდა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


**45 ლარად!**

**წვერსაპარსი PHILIPS+ საჩუქარი ტრიმერი 50% ფასდაკლებით**

**წვერსაპარსი PHILIPS**



- ტიპი: წვერსაპარსი;
- სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- გასაწმენდი ჯაგრისი;
- ბაკების გასასწორებელი;
- მოყვება დამტენი
- მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებენ თქვენი სახის კონტურს;
- მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- დატენვის ინდიკატორი;
- ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**მზის სანათი — 40 ლარად**

**შეთავაზების აღწერილობა:**

— მზის სანათი საშუალებას მოგცემთ მინიმალური დანახარჯებით მიიღოთ სასურველი განათება ნებისმიერ ადგილას;

— აკუმულატორის დამუხტვა შესაძლებელია შემდეგი წყაროებით: მზის ენერგია, დენის წყარო, ელემენტი და ხელის მოძრაობით;

— აკუმულატორის მუშაობის ხანგრძლივობა: 24 საათი. შეგიძლიათ დატენოთ ნებისმიერი უსბ მოწყობილობა, მობლური, აიპოდი და სხვა



MADE IN GERMANY

**შეიძინეთ სმენის აპარატი 45 ლარად 100 ლარის ნაცვლად**



1. ხმის გაძლიერება 50 ДБ.
2. ხმის რეგულირება.
3. ერგება ორივე ყურზე.
4. პატარა, მსუბუქი, შეუმჩნეველი.
5. კომპლექტშია: მოწყობილობა 1 ც. რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც. ელემენტები LR41 — 10ც. ჩასადები ყუთი, ინსტრუქცია.



მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ტელ: 2-182-186
მის: გაჟა-ფშაველას№79


## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 2. სპორტული სარბოლო ავტომობილი; 3. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 4. სამეცნიერო ნაშრომის მოკლე წერილობითი შინაარსი; 7. ზოგიერთი მოლუსკის სხეულში წარმოშობილი ძვირფასი თვალი; 8. ქართლში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ჯიში; 12. წყალში გაზავებული ამიაკის ხსნარი; 14. ამერიკული მსუბუქი ავტომობილი; 16. საჯარიმო დარტყმა ფეხბურთში; 17. მაღალი მორალური, ადამიანური თვისება; 19. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 20. მექსიკელი მხატვარი ქალი.

**თარაზულად:** 5. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 6. ნადირთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 9. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 10. ძველებური სასადილო, სავაჭრო; 11. ნავსადგური უკრაინაში; 13. საჭმელი სოკო; 15. გერმანული ფარმაცევტული ფირმა; 18. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 21. კვირის ერთ-ერთი დღე; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 23. მარტის თვის ქართული სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა